ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



## თენგიზ დიხამინჯია: „თემირლანის უდანაშაულობა ხელისუფლებამ უნდა აღიაროს“

გვ.5

14 მაისიდან ქართული მითები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი



ხუთშაბათი, 16 მაისი, 2019 №114 (8068) ფასი: 60 თეთრი

# ზუგდიდში ომი გრძელდება



გვ.3

## ნიკა მელია: „ეს ხელისუფლება არის დამთავრებული“

## გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნების“ ხელში ხალხი გაველურდა“

გვ.3





## ზაალ კასრელიშვილი: „ავარელებს, დარგოელებს და ლეზგინებს საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით სურთ შემოსვლა“

გვ.2



## ლევან კობერიძე: „კობულიამ ბევრ საკითხზე პოლიტიკური განცხადება გააკეთა“

გვ.4

### სამართალი

გვ.7

13 წლის გოგიტა ირემაძის მკვლელობისთვის ექიმები და პოლიციელები უნდა დაისაჯონ





მალხაზ მაჩალიკაშვილი: „სოსო გოგაშვილი ცოცხალი მჭირდება“

ცოლის თვითმკვლელობამდე მიყვანისთვის გ.ჯ. დააკავეს



ქართველმა წყვილმა სომხეთში 2 ადამიანი მოკლა

### საზოგადოება



გიორგი კობულია: „მმართველ გუნდში დისკუსიისას ერთხელ მართლაც მიწოდეს უცხო სხეული“

გვ.6



ნათია თურნავა: „გიორგი კობულია კარგი ანალიტიკოსი და თეორეტიკოსია“



გიგა ბოკერია: „გიორგი კობულიას ბიძინა ივანიშვილის ხსენება არ უნდოდა“

ISSN 1987-9385

5 საქართველო აშშ-ჩინეთის დაპირისპირების ადგილიც ხდება

6 „2022 წლისთვის საქართველოში მასწავლებლის საშუალო ხელფასი უნდა იყოს 1.500–1.800 ლარი“

7 საბერძნეთში 29 წლის ქართველი ქალი გაგუდული იპოვეს

8 პუტინი: „რუსეთს აშშ-სთან ურთიერთობების აღდგენა სურს!“

# „ავარელებს, დარგოელებს და ლეზგინებს საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით სურთ შემოსვლა“

## ზაალ კასრელიშვილი: „ჩამოვასახლოთ ფერეიდნელი ქართველები ცხინვალში, ხოლო ოსები ისტორიულ ირანში დავაბრუნოთ“

შორენა მარსაგიშვილი

**აღიარებს თუ არა ირანი ცხინვალის დამოუკიდებლობას, რატომ ითხოვენ ჩრდილოკავკასიელები საქართველოს შემადგენლობაში შესვლას, რა ჩაიფიქრა რუსეთმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

***– საქართველოში ყველა არჩევნების წინ სიტუაცია იძაბება. ვითარება ახლაც მძიმეა. გველოდება თუ არა არეულობა?***

– დაძაბულობა იქნება, მაგრამ საქმე არეულობამდე არ მივა. ამ პროცესებს ყურადღებით ადევნებენ თვალს ჩვენი კეთილმოსურნეები თუ არაკეთილმოსურნეები.

***– ყველაზე ყურადღებით ალბათ რუსეთი გვაკვირდება?***

– რატომ მარტო რუსეთი? აქ არეულობა სხვებსაც უნდათ, სხვა სახელმწიფოებიც არიან ჩასაფრებულები. მოსკოვს შურისმაძიებლური პოლიტიკა აქვს არჩეული. სხვები უფრო შეფარულად მოქმედებენ და თავიანთ ზრახვებს არ აჩენენ.

იმ დაძაბულობით, რაც ახლა ხდება, რუსეთი აუცილებლად ნახავს სარგებელს. მოსკოვი შეძლებს, რომ პრორუსულმა პარტიებმა პოლიტიკური ქულები ჩაიწერონ საქართველოს მოსახლეობის თვალში.

ამის გარდა, თუ არჩევნებზე აქ არეულობა მოხდა, დასავლეთის თვალში ჩვენს იმიჯს შელახავენ. საქართველოს გამოაცხადებენ არასტაბილურ და ნახევრად დემოკრატიულ ქვეყნად, თითქოს თავად ძალიან დემოკრატიულები იყვნენ. იმასაც იტყვიან, რომ საევროსაინტეგრაციოდ არასასურველი ქვეყანა ვართ.

კრემლის დიდი სურვილის მიუხედავად, შუალედურ არჩევნებზე აქ საშინელება არ მოხდება. არც ერთ მხარეს დიდი ფული ზურგს არ უმაგრებს. ამასთან, დამფინანსებლების ინტერესებში არ შედის არც რევოლუცია და გადატრიალება და არც გრძელვადიანი პარტიზანული ომები.

ორივე ძალა იქნება გამოყენებული იმისთვის, რომ მათმა პატრონებმა თავიანთი შესაძლებლობები წარმოაჩინონ. გარდა ამისა, დასავლეთს ეტყვიან, რომ საქართველო არის უზრდელი, უხეში და ევროპისთვის შეუფერებელი.

**„მინდა თქვენი მკითხველი დავამშვიდო, რომ ქართველებს რამდენიმე სერიოზული ბერკეტი აქვთ, რომლითაც რუსეთის პოლიტიკურ ხელისუფლებას საკმაოდ მძიმედ დაუბრუნებენ ხურდას“**

***– და თავად რუსეთი ვის ან რას შეეფერება?***

– თავად არიან ბირთვული ყაჩაღები. ალი ბაბას და 49 ყაჩაღს დამბაჩები და მშვილდისრები ჰქონდათ. ესენი კიდევ ბირთვული რაკეტებით შეიარაღებული მტაცებლები არიან. ოღონდ არა ისეთი სერიოზული მტაცებლები, როგორც მგელი ან ვეფხვია.

***– ტურების კატეგორიაში გადიან?***

– არც მაგ კატეგორიაში. ყველას გვახსოვს მაუგლი. იქ არიან სტეპის გაველურებული წითელი ძაღლები. აი, მაგ კატეგორიაში გადიან – ბევრნი რომ არიან და მასით გერევიან.

***– ალბათ მათი ჩართულობით სთხოვა ცხინვალის ხელისუფლებამ ირანს მათი დამოუკიდებლობის აღიარება. ანატოლი ბიბილოვმა ისიც კი თქვა, ჩვენ და ირანელები ნათესავები ვართო.***



**„ვიღაცას ძალიან თუ უნდა აღიარება, რაღა ქართულ მიწაზე ითხოვენ ამას. წავიდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. იქ აღიარებულებიც იქნებიან და თავიანთი ენაც ექნებათ. ირანის ხელისუფლებისთვის შორიდან არაფრის თხოვნა არ დასჭირდებათ, დააბინავებენ და ადგილზე მოუვლიან“**

– ეგ სიმართლე უთქვამს. მართლა ერთი ჯიში აქვთ. ირანში არის ტომი, რომელსაც არა ჩვენი ოსების – ალანების, არამედ ცხინვალში მცხოვრები ოსების იდენტური ენა აქვს.

ვიღაცას ძალიან თუ უნდა აღიარება, რაღა ქართულ მიწაზე ითხოვენ ამას. წავიდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. იქ აღიარებულებიც იქნებიან და თავიანთი ენაც ექნებათ. ირანის ხელისუფლებისთვის შორიდან არაფრის თხოვნა არ დასჭირდებათ, დააბინავებენ და ადგილზე მოუვლიან.

მოვლას რაც შეეხება, ქართველებმა ოსებს რომ მოვუარეთ, დედამიწის ზურგზე ეგრე არავის არავისთვის არ მოუვლია. გვერდზე იყო ჩრდილოეთ ოსეთი, მაგრამ ოსური თეატრი და სასწავლებლები მარტო საქართველოს ტერიტორიაზე იყო.

აქ მათ ენაც შევუნარჩუნეთ და ტრადიციებიც. ჩრდილოეთში მცხოვრები ოსები გარუსებულები იყვნენ და ბოლომდე ასეთებად დარჩნენ.

***– ისე ეს რუსეთში მცხოვრები და გარუსებული ოსები ბევრად უფრო ქართულად აზროვნებენ, ვიდრე ზოგიერთი ქართველი და საქართველოში შემოფარებული ოსები.***

– ისინი დღემდე ქართველების გულშემატკივრები არიან, ისინი საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლაზე ოცნებობდნენ.

ყველამ ვიცით ულამაზესი ოსური ცეკვა „სიმდი“, რომელიც ბაგრატიონის, ჯავრიშვილის და ილიკო სუხიშვილის გაკეთებულია.

ამის გამო ჩვენი ძმები – ვაინახები ხუმრობით გვსაყვედურობდნენ, ერთი კაი ვაინახური ცეკვაც გააკეთეთ, მარტო ოსებს რომ გადაყევითო.

***– სერიოზული თემიდან ცეკვა-თამაშზე გადავედით, ირანის ამბავს დავუბრუნდეთ – აღიარებს თეირანი ოსების დამოუკიდებლობას?***

– სასაცილოა, როცა ცხინვალი ვიღაცას დამოუკიდებლობის აღიარებას სთხოვს. დამოუკიდებლად ამის განცხადებას ვერ გაბედავდნენ. ეს არის რუსეთის სპეცსამსახურების შეკვეთა.

მოსკოვი ამას რამდენიმე მიზნით უკვეთავს. პირველი უნდათ, რომ საქართველოს პოზიციები შეასუსტონ. მეორე მიზეზი აშშ-ირანის დაძაბულობას უკავშირდება. ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდება. კრემლს სურს, რომ ამის ნიადაგზე თბილისი ირანთან დააპირისპიროს.

ირანი ცხინვალის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მაგრამ საქართველოს სამომავლოდ ვალს დაადებს.

***– რა ვალი უნდა დაგვადონ, მაგათი დიდი წვლილია იმაში, რომ საუკუნეების წინ რუსეთის ხაფანგში ამოვყავით თავი.***

– გვეტყვიან, სამხრეთ ოსეთი არ ვაღიარეთ და თქვენ კიდევ ჩვენ საწინააღმდეგო სანქციებს შეუერთდითო. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა შევახსენოთ ირანს, რომ ირანი არ არის მონოეთნიკური სახელმწიფო. ის შედგება ფერეიდნელებისგან, აზერბაიჯანელებისგან, ქურთებისგან, თურქმანებისა და ნამდვილი სპარსელებისგან. ნამდვილი სპარსელები მთელს ირანში მოსახლეობის მხოლოდ 37%-ს შეადგენენ.

ფერეიდნელები ვახსენე და ერთ საინტერესო შეთავაზებას გავაკეთებ. ოსები ხომ ამბობენ, ირანელების ნათესავები ვართო. ცუდი არ იქნება, თუ ცხინვალელ ოსებს გადავასახლებთ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, ხოლო ფერეიდნელებს თავის მიწაზე – საქართველოში დავაბრუნებთ.

ცნობისათვის, როცა ფერეიდანში მოხდა გადასახლება, ყველაზე მეტი ქართველი კახეთიდან და შიდა ქართლიდან გაიყვანეს.

***– საინტერესო რამე თქვით, მაგრამ ამას ალბათ განხორციელება არ უწერია.***

– ეგ არავინ იცის. შეიძლება დადგეს დრო და ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც მე გითხარით. მთავარი ისაა, რომ ამ იდეის გამო ცივილური სამყარო ვერ გვისაყვედურებს – ფერეიდნელები საქართველოდან ძალით გადაასახლეს, ცხინვალელი ოსები კი ირანულ წარმომავლობაზე საუბრობენ. რა არის იმაში ცუდი, თუ ყველა ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდება.

დანარჩენი დროის ამბავია. თავის დროზე საბჭოთა კავშირის დაშლაც არავის წარმოედგინა. ამ მოსაზრებაზე სიცილით კვდებოდნენ, ხოლო მათ, ვინც საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს აჩქარებდა, ციხეებში ყრიდნენ.

მინდა თქვენი მკითხველი დავამშვიდო, რომ ქართველებს რამდენიმე სერიოზული ბერკეტი აქვთ, რომლითაც რუსეთის პოლიტიკურ ხელისუფლებას საკმაოდ მძიმედ დაუბრუნებენ ხურდას.

საქართველო პატარა ქვეყანა იყო და ისტორიულად კარგავდა ტერიტორიებს, მაგრამ მათ ბოლოს მაინც იბრუნებდა. დიდი სახელმწიფო რომ იშლება, იმის აწყობა არის გამორიცხული.

რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა ხვდებოდეს, რომ მათ თავიანთი ქვეყანა აქეთკენ მიჰყავთ.

***– ჩეჩნეთი და ინგუშეთი ფაქტიურად უკვე დაკარგული აქვთ.***

– ჩერქეზეთიც. დაღესტანი ხელში ერთი რამით უჭირავთ, აქ 39 ეთნიკური ჯგუფი სახლობს. ყველას თავისი ენა აქვს და ისინი იძულებული არიან, ერთმანეთს რუსულ ენაზე ელაპარაკონ.

დაღესტნელებისთვის არავის შეუთავაზებია, რომ დაღესტნის ფედერალური სახელმწიფო გააკეთონ.

ლეზგინები, დარგოელები და ავარიელები სერიოზულად განიხილავენ საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლის საკითხს.

***– ამას სერიოზულად ამბობთ?***

– ასეთ თემებზე არ ვხუმრობ. ავარიელები, ლეზგინები და დარგოელები ინგუშებთან ერთად ითხოვენ ავტონომიის სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლას.

2012 წლის აგვისტოში, ლაფანყურის სპეცოპერაციამდე ორი დღით ადრე, დაღესტანში მოკლეს სასულიერო პირი, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შესვლას ემხრობოდა.

მისი მკვლელობაც საინტერესოდ მოხდა. ეს სასულიერო პირი ქადაგებებზე ათასობით ადამიანს აგროვებდა. ქადაგებებისას პირდაპირ ამბობდა, რომ დაღესტნის პროგრესი საქართველოს უკავშირდება.

ეს ადამიანი ვაჰაბისტმა თვითმკვლელმა ქალმა ააფეთქა. გამოძიებით დადგინდა, რომ ეს ქალი ეთნიკური რუსი იყო.

***– ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, დაღესტნელები საქართველოს შემადგენლობაში თუ მოინდომებდნენ შემოსვლას.***

– დაღესტანში უამრავი ჯგუფი ცხოვრობს. საქართველოში ყველას კი არ უნდა. იმ სამ ჯგუფს სურს ჩვენთან ერთად ცხოვრება, რომლებიც ზემოთ ჩამოგითვალეთ. მათ გენეტიკური კვლევაც ჩაიტარეს და ამბობენ, ჩვენ და გურჯები ერთი ვართო.

სხვათა შორის, ქართველების იდენტური გენი აღმოაჩნდათ ოსებს. საუბარი მაქვს ჩვენს ოსებზე – ალანებზე. ისინი ალბანების ჩამომავლები არიან.

***– ცხინვალელ ოსებს არ აღმოაჩნდათ ქართული სისხლი?***

– რამდენსაც გინდა, იმდენს აღმოაჩნდა. სადაც გინდათ იქ დავამტკიცებ, რომ 17 ოსური გვარი სუფთა ქართული წარმომავლობისაა.

***– რანაირად გაოსდნენ?***

– ბოლშევიკებმა ოსებს ავტონომია მისცეს. ავტონომიის შესაქმნელად საჭირო ოდენობის ოსები არ ჰყავდათ და ქართველები დაწერეს ოსებად.

**„ყველამ ვიცით ულამაზესი ოსური ცეკვა „სიმდი“, რომელიც ბაგრატიონის, ჯავრიშვილის და ილიკო სუხიშვილის გაკეთებულია. ამის გამო ჩვენი ძმები – ვაინახები ხუმრობით გვსაყვედურობდნენ, ერთი კაი ვაინახური ცეკვაც გააკეთეთ, მარტო ოსებს რომ გადაყევითო“**

***– შეგიძლიათ ეს გვარები დაგვისახელოთ?***

– რატომაც არა. მარგიანები ჩაწერეს მარგიევებად. ბიბილურები და ბიბილაშვილები გამოაცხადეს ბიბილოვებად.

***– მაგათი პრეზიდენტი – ბიბილოვიც ქართველი გამოდის.***

– გვარის მიხედვით გამოდის. კითხვის ნიშნები რომ არ იყოს, წავიდეს და გენეტიკურად გაესინჯოს.

ასევე ქართველები არიან თიბილოვები, გაგლოევები, თედეევები, ჩოჩიევები და აიდაროვები. ყველა გვარი არ მახსოვს. სულ 17 გვარია, რომელიც სუფთა ქართულია.

***– იმ გვარების წარმომადგენლები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, ანტიქართული განცხადებებით გამოირჩევიან. პაპებისგან ან მეზობლებისგან მაინც არ იციან, რომ ქართველები იყვნენ და ოსებად ჩაწერეს?***

– რომელი პაპა ეტყვის შვილიშვილს, გვარი და ეროვნება გადავიკეთეო. შერცხვათ ამის აღიარება და მათ ჩამომავლებსაც თავი ოსები ჰგონიათ.

არ არის გამორიცხული, მათი წინაპრები ბოლშევიკები იყვნენ და თავად გამოთქვეს გვარის გადაკეთების სურვილი. ავტონომიაც ხომ ბოლშევიკებმა შექმნეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნების“ ხელში ხალხი გაველურდა“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.**

***– ბატონო გიორგი, შუალედური არჩევნების წინ საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია და ეს ყველაზე მეტად ზუგდიდში იგრძნობა. საუბარია, რომ საკმაოდ ცხელი არჩევნები იქნება ზუგდიდში. როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას?***

– მე ვთვლი, რომ „ქართული ოცნება“ უკვე დამთავრებულია, ბოლომდე გაკოტრებულია ეს პოლიტიკური ძალა, ნულოვანი ნდობაა მოსახლეობის მხრიდან. შუალედური არჩევნები, როგორც იცით, ხელისუფლებისთვის უფრო მარტივია ხოლმე მანიპულაციის თვალსაზრისით, იმიტომ, რომ თითქოს პოლიტიკური პროცესი არ წყდება, თუმცა მოხდა ისე, რომ ზუგდიდში ძალიან რთულ მდგომარეობაშია „ქართული ოცნება“, როგორც იტყვიან, უკადრებელს კადრულობს ამ არჩევნებში. თავდასხმები სანდრა რულოვსზე, იგივე საარჩევნო სიებზე მანიპულაციები და ასე შემდეგ. ეს არის კარგი ნათელი მაგალითი იმისა, რომ დამთავრებულია „ქართული ოცნება“ და ძალიან სწრაფად დაიწყება ხელისუფლების ცვლილების პროცესი ქვეყანაში.

***– ცრუ ინფორმაციას გვივრცელებს ოპოზიცია და ცდილობენ პროცესის დისკრიმინაციასო.***

– ცრუ ინფორმაცია რა არის, სანდრა რულოვსთან მივარდნა თუ ის ჩანაწერი, რომელიც გამოქვეყნდა?! რომელი მათგანია სიცრუე?! ყველა ხედავს, რა დღეში არიან მათი მხარდამჭერები.

***– რას ელოდებით ზუგდიდში? მოსყიდვას, დაშინებას, გაყალბების მცდელობას ექნება ადგილი?***

– დღეს მივდივარ ზუგდიდში და ყველაფერს ადგილზე გავეცნობი. ეს დღეები იქ ვიქნები და უფრო აქტიურად შევხედავ პროცესს. ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ამჯერად ნაკლებად შეძლებენ ხალხის მოსყიდვას.

***– არ გამოუვათ? მობილიზებულია ოპოზიციაო, მაგრამ მაინც...***

– ჩვენ მაქსიმალურად მობილიზებულები ვართ, თუმცა ეს უკვე ზუგდიდელების გადასაწყვეტია. ის, რომ „ქართული ოცნება“ უკვე წაგებულია ზუგდიდში, ეს უკვე ფაქტია. ახლა ზუგდიდელებმა უნდა გადაწყვიტონ, თვითონ დაემორჩილებიან იმ ძალისმიერ მეთოდებს, რომელსაც „ქართული ოცნება“ იყენებს თუ წინააღმდეგობას გაუწევენ. მე უფრო მგონია, რომ წინააღმდეგობას გაუწევენ და ერთხელ და სამუდამოდ შეიცვლება ყველაფერი. სამეგრელოს ახასიათებს ხოლმე ახალი პოლიტიკური პროცესის წამოწყება და ეს ყველაფერი შესაძლოა დაიწყოს სწორედ ზუგდიდიდან.

***– როგორ აპირებთ საკუთარი ამომრჩევლის და საკუთარი ხმების დაცვას?***

– ჩვენ გეგმები, რა თქმა უნდა, გვაქვს. ძალიან ბევრი ადამიანია მობილიზებული, მათ შორის, სხვა რეგიონებიდან და ასე რომ, შევხედოთ, რა და როგორ იქნება. საარჩევნო უბანზე ჩვენ გვეყოლება საკმაოდ დიდი რაოდენობის ადამიანი.

***– გაჩნდა ვერსიები, რომ თითქოს აწყობს ხელისუფლებას ზუგდიდში დაძაბულობა, რადგან ეს ყველაფერი მისცემთ იმის საბაბს, ვადამდელი არჩევნები დანიშნონო. განიხილება ეს ვერსია ოპოზიციაში?***

– ვადამდელი არჩევნები ხელისუფლებისთვის არის უკვე მარცხი, ძალიან სერიოზული. აქედან გამომდინარე, ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ რამე შეიძლება მოხდეს, ასე ვთქვათ, რამენაირად აწყობდეს ხელისუფლებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ბოლომდე აღიარებს კრიზის, რომელიც ქვეყანაშია და ნიშნავს ვადამდელ არჩევნებს. რაც ნიშნავს იმას, რომ სასტარტო პოზიცია ბევრად უფრო რთული ექნება „ქართულ ოცნებას“. ჩვენ მზად ვართ როგორც ვადამდელი არჩევნებისთვის, ასევე ვადით გათვალისწინებულ დროში შესაბამისი შედეგი ვაჩვენოთ. აქ მოგება არ მოგება და ხელისუფლების ცვლილება კი არ არის თვითმიზანი.

***– რა არის თქვენი მიზანი?***

– ჩვენი მიზანია ის, რომ აი, ამ გაჭირვებიდან და უკიდურესი მძიმე მდგომარეობიდან ქვეყანა როგორმე გამოვიყვანოთ. ხშირად ვფიქრობ, რამხელა სამუშაოა ჩასატარებელი, რომ ასეთ ღრმა კრიზისში შეყვანილი ქვეყანა ფეხზე დააყენო და გამოასწორო ის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც დღეს ქვეყანაშია.

***– ზოგადად ყველა სფეროში ძალიან რთული სიტუაციაა.***

– ჩამოშლილია სახელმწიფო სისტემები, ინსტიტუციები. გადაწყვეტილების მიმღები აღარავინ აღარ არის, არც ერთი მინისტრი მინისტრს არ ჰგავს. საერთოდ გაველურდა ქვეყანა. თვითდინებით მიდიოდა პროცესები, მაგრამ რამდენ ხანს იქნებოდა ეს თვითდინებაც? მოიშალა აბსოლუტურად ყველაფერი. მარტივი საკითხების მოგვარებაზეა საუბარი და ესეც არ გვარდება. რაღა თქმა უნდა, ამან საბოლოო ჯამში ვის დაარტყა? ჩვენს მოსახლეობას. თითოეული ადამიანის ჯიბეზე აისახა ეს. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა ქვეყანაში. გაიხედეთ, გარშემო რა ხდება. კატასტროფა ხდება. ხალხს საჭმელი არა აქვს,

**„ვადამდელი არჩევნები ხელისუფლებისთვის არის უკვე მარცხი, ძალიან სერიოზული. აქედან გამომდინარე, ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ რამე შეიძლება მოხდეს, ასე ვთქვათ, რამენაირად აწყობდეს ხელისუფლებას“**

პურს ვერ ყიდულობენ, შია ხალხს! ზუგდიდში რატომაა ეს მდგომარეობა? ფაროსანამ მოსპო მთელი მოსავალი, რითაც ეს ხალხი ცხოვრობდა.

***– ფაროსანა ზოგადად ყველას პრობლემად იქცა.***

– დამნაშავეები არიან, აბა რა არიან? ნაცვლად იმისა, რომ ეზრუნა ხელისუფლებას ეს პრობლემა მოგვარებულიყო, ფულის კეთება დაიწყეს ამ თემით. „სალიარკებსა“ და ათას მაიმუნობას ურევდნენ ფაროსანას შესაწამლ წამალში და როგორ განადგურდებოდა?! საბოლოოდ სადამდე მივედით? შედით ზუგდიდში სახლებში, ელემენტარულად ხალხს პური არა აქვს, რომ უბრალოდ ჭამონ. აქ აღარ არის საუბარი ხორცსა და სხვა აუცილებელ პროდუქტებზე, რაც ასე მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმისთვის. რა თაობა გაიზრდება, შიმშილობენ ბავშვები ქვეყანაში. პენსიონრებს პენსია აღარაფერში ყოფნით. საშუალო ასაკის ადამიანები ან გარბიან ქვეყნიდან, ან იხოცებიან. ამაზე მეტი მძიმე მდგომარეობა რაღა უნდა იყოს?!

***– დიპლომატიურ კორპუსს შეხვდით, ძირითადად რა საკითხებზე გამახვილდა ყურადღება მოახლოებულ არჩევნებზე?***

– საუბარი იყო იმაზე, რომ საქართველოში უკვე სტანდარტად იქცა არადემოკრატიული არჩევნების ჩატარება. „ქართულმა ოცნებამ“ დაასტანდარტა, რომ მას შეუძლია ნებისმიერი კანონი დაარღვიოს. ყველაფერი გააკეთოს არჩევნების გასაყალბებლად, ამომრჩევლის მოსასყიდად, დასაშინებლად. საქართველო საერთაშორისო დონეზე ძალიან მნიშვნელოვნად ჩამოქვეითდა. აგერ ახლახან უკრაინაში ჩატარდა არჩევნები, ვნახეთ, როგორი თავისუფალი, დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნები იყო. საქართველოში რა ხდება? საქართველოში ყოველი შემდეგი არჩევნები არის უკან გადადგმული ნაბიჯი. ამიტომაც არის, რომ საერთაშორისო საზოგადოებასაც ჩამოუყალიბდა აზრი, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება.

***– ეს ცვლილება ზუგდიდიდან დაიწყება?***

– დაიწყება. ზუგდიდიდანაც და მე ვფიქრობ, რომ ზესტაფონშიც ასევე ძალიან კარგი პოზიციები გვაქვს. სავარაუდოდ, იქაც გავიმარჯვებთ. ჩვენ გვინდა, რომ ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ხელისუფლებიდან გავუშვათ „ქართული ოცნება“ და დავიწყოთ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა.

# ზუგდიდში ომი გრძელდება

## ნიკა მელია: „ეს ხელისუფლება არის დამთავრებული“

შორენა მარსაგიშვილი

**სამეგრელოში პოლიტიკური ტემპერატურა არ იკლებს. „ოცნებამ“ და გაერთიანებულმა ოპოზიციამ ამ ტემპით თუ გააგრძელეს, 19 მაისამდე – არჩევნებამდე შეიძლება გადაიწვან.**
**გუშინ, 15 მაისს, დაძაბულობის კერა სამხარეო ადმინისტრაციასთან და ზუგდიდის საკრებულოსთან შეიქმნა.**




ეს ყველაფერი კი 14 მაისს გავრცელებულ ჩანაწერს მოჰყვა, სადაც ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატი გია დანელია ფიგურირებს. ეს უკანასკნელი დაუდგენელ პიროვნებას ეუბნება, რომ არჩევნების მოსაგებად ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

გაერთიანებულმა ოპოზიციამ სწორედ ამ ჩანაწერთან დაკავშირებით გადაწყვიტა ზუგდიდის საკრებულოსთვის მიემართა. ისინი დეპუტატ გია დანელიასთვის უფლებამოსილების შეჩერების შუამდგომლობის დაყენებას აპირებდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს – მათთვის ეს ადგილი ნამდვილ ციხესიმაგრედ იქცა.

სამართალდამცავებმა ოპოზიციონერები, მათ შორის პარლამენტის წევრებიც, შენობაში არ შეუშვეს. ამან ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია წყობილებიდან გამოიყვანა.

– შენობაში არ გვიშვებდნენ დეპუტატებს და მედიას, ჩვენ მოვედით აქ, რათა ოფიციალურად დაგვეფიქსირებინა რიგგარეშე სხდომის მოთხოვნასთან დაკავშირებით განცხადება. ნაცვლად იმისა, რომ პოლიციის უფროსი დასდევდეს კრიმინალებს, ისინი არიან გახარიას და ივანიშვილის მორჩილებაში, რომელთაც არაფერი დარჩათ, გარდა შანტაჟისა და მუქარისა. ესენი უნდა წავიდნენ, ჩვენ ინტერესებშია, რომ მშვიდობიანად წავიდნენ, – განაცხადა მელიამ.

მისივე თქმით, ხელისუფლება სამართალდამცავებს არა კრიმინალთან საბრძოლველად, არამედ ოპონენტების წინააღმდეგ იყენებს.

პარლამენტარი ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ ვინც ხალხის ნების წინააღმდეგ წავა, აუცილებლად დამარცხდება.

– ნაცვლად იმისა, რომ დაკავებული იქნენ ის პირები, რომლებიც ბოლო დროს მომხდარ ძალადობის ფაქტებში მონაწილეობდნენ ან დადგეს იმ დეპუტატის პასუხისმგებლობა, რომელიც ხალხის დაშინებას და საარჩევნოდ გატაცებას გეგმავდა, ხელისუფლება ძალადობას აგრძელებს. ყველა ხელისუფლება, ვინც ხალხს უპირისპირდება, მარცხდება და ასე დაემართება „ოცნებასაც“.

ხალხო, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, ეს ხელისუფლება არის დამთავრებული, გაბანკროტებული და გამარგინალებული, მათ არ აქვთ არანაირი მხარდაჭერა ხალხში. ყველა ხელისუფლება, ვინც ხალხს უპირისპირდება, მარცხდება. ასე იქნება ბიძინა ივანიშვილიც, უბრალოდ, ჩვენი ამოცანაა, რომ მშვიდობიანად დავამარცხოთ, – აღნიშნა მელიამ.

საკრებულოში განვითარებულ ამბებს „ოცნების“ კანდიდატის, გეგა შენგელიას შტაბის უფროსი ირაკლი ჩიქოვანიც გამოეხმაურა. ის მომხდარში ოპოზიციას ადანაშაულებს.

მისი თქმით, ის რაც მოხდა, ნაციონალური მოძრაობის დაგეგმილი პროვოკაცია იყო. ჩიქოვანის მტკიცებით, ოპოზიციამ პროვოკაცია ზუგდიდში ჩაყვანილი ხალხის მეშვეობით განახორციელა.

ჩიქოვანი თავის მხარდამჭერებს სიმშვიდის შენარჩუნებას სთხოვს და ჰპირდება, რომ 19 მაისს ეს ყველაფერი დასრულდება.

– ის რაც 15 მაისს ზუგდიდში მოხდა, არის ამაზრზენი და არის ზუგდიდის მცხოვრებლების შეურაცხყოფა. ნაციონალური მოძრაობა, ბოლო



დღეების განმავლობაში, ჩამოყვანილი ხალხით ცდილობს საარჩევნო პროცესის დისკრედიტაციას და აქ მცხოვრები ადამიანების შეურაცხყოფას.

საარჩევნო პროცესის წარმოება ყველას თავისუფლად და მშვიდად შეუძლია, ამისთვის არის ყველანაირი შესაძლებლობა, მათ შეუძლიათ მიმართონ საკრებულოსაც, პოლიციასაც, გამგეობასაც და საოლქო კომისიასაც, ამაში ხელს არავინ არ უშლის, მათი პრობლემა ისაა, რომ მათ სურთ, ყველა ასეთი ფაქტიდან გამოიყვანონ პროვოკაცია და შექმნან უაზრო აურზაური.

ნაციონალურ მოძრაობას ეს აქ არ გაუვა, დაიღალა ეს ქალაქი, რომ ნაციონალური მოძრაობა ზუგდიდიდან ქმნის გამოსაცდელ პოლიგონს. ეს ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება 19 მაისს. ჩვენ ვემიჯნებით ყველანაირ ძალადობას, აბსოლუტურად ყველა ფაქტზე მიმართული გვაქვს სამართალდამცავებისთვის, ყველა ფაქტზე ან დაწყებულია გამოძიება, ან დაკავებულები არიან ადამიანები. მე მივმართავ შსს-ს, რომ გამოიყენოს ყველა მისი შესაძლებლობა იმისთვის, რომ ზუგდიდში შეინარჩუნოს მშვიდობა.

ასევე მივმართავ ყველა ჩვენ მხარდამჭერს და პირდაპირ ვეუბნები, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს პროვოკაცია, მიმართეთ სამართალდამცავებს. მხოლოდ რამდენიმე დღე დაგვრჩა, რომ ესენი ავიტანოთ ჩვენს ქალაქში, 19 მაისს ეს ყველაფერი დასრულდება, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ჩიქოვანმა.

# ლევან კობერიძე: „ქობულიამ ბევრ საკითხზე პოლიტიკური განცხადება გააკეთა“

**ნათია ხურცილავა**

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი ლევან კობერიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, გიორგი ქობულიას პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე საუბრობს.



**„ბოლო 20 წლის განმავლობაში, თუ გიორგი კვირიკაშვილს არ ჩავთვლით, არც ერთ თანამდებობის პირს არ უთქვამს, რატომ წავიდა თანამდებობიდან, ეს გააკეთა გიორგი ქობულიამ, მან სრულიად ღიად და ცალსახად ისაუბრა, რატომ და რისთვის, ამ ყველაფრის მიმართ საზოგადოების ინტერესი ძალიან მაღალი იყო“**

***– ბატონო ლევან, გიორგი ქობულიამ ჟურნალისტებთან საუბარში არ გამორიცხა პოლიტიკაში დარჩენა. თქვენ იცოდით ამის შესახებ? კონსულტაციები ხომ არ გქონიათ?***

– არა, მსგავსი ტიპის კონსულტაცია მე არ მქონია. ჩვენი მთავარი მიზანი ამ შეხვედრის ორგანიზება, ბატონი გიორგის პარლამენტში მოსვლა და ინფორმაციის მიღება იყო. პოლიტიკაში გიორგი ქობულიას შემოსვლის ან რაიმე სახის აქტივობის შესახებ მე მასთან არანაირი კონსულტაცია არ მქონია.

***– რა მთავარი ინფორმაცია მიიღეთ გიორგი ქობულიასგან?***

– ყველაზე მთავარი იყო ის, რომ მოვისმინეთ ქართული ეკონომიკის მთავარი დიაგნოზი. ქობულიამ წარმოადგინა ძალიან პროფესიონალური და სიღრმისეული ანალიზი, თუ საიდან უნდა იყოს ქვეყანაში ეკონომიკის სწრაფი განვითარების ათვლის წერტილი.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, როდესაც ის ამბობს, რომ რეალურად ქვეყანაში არის 50% უმუშევრობა და არა 12%, როგორც ეს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებშია, ეს უკვე ჩემთვის ნიშნავს პრობლემის რეალურ დანახვას.

მსგავსი ტიპის ძალიან ბევრი შეფასება და განცხადება გააკეთა. მაგალითად, სხვადასხვა სფეროში კონკურენციის არარსებობასთან დაკავშირებით, რაზეც ჩვენ უკვე დიდი ხანია ვსაუბრობთ. ასევე ისაუბრა კვალიფიციურ კადრებზე, რომლებიც ქვეყნის გარეთ კი არ უნდა გადიოდნენ, არამედ ქვეყანას უნდა ემსახურებოდნენ და ადამიანური კაპიტალის გადინება არ უნდა ხდებოდეს და სწორედ ეს უნდა ეხმარებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

***– თქვენ იყავით შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი, კმაყოფილი ხართ შეხვედრით?***

– ამ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ტრადიცია უნდა დამკვიდრდეს. თანამდებობიდან წასული მინისტრი არ ნიშნავს, რომ წავიდა და მორჩა. ის აღარასოდეს უნდა გამოჩნდეს. ყოფილი მინისტრიც ისევეა პასუხისმგებელი, როგორც მოქმედი მინისტრი. ამიტომ ძალიან კარგია, რომ გიორგი ქობულია პარლამენტში მოვიდა.

ეს არის ახალი პოლიტიკური რეალობა. ძალიან კარგია, რომ მინისტრები პრობლემებზე ღიად საუბრობენ, მათ შორის, უკვე თანამდებობიდან გადაყენებული მინისტრი. ასეთი ფორმატები უნდა იყოს. მეტიც, მე მოხარული ვიქნებოდი, რომ ეს შეხვედრა უმრავლესობას მოეწყო. რეალურად ეს შეხვედრა იყო საქმიანი და არა პოლიტიკურად ანგაჟირებული და აჟიტირებული. ამიტომ, ეს ინიციატივა „ქართულ ოცნებას“, საპარლამენტო უმრავლესობას უნდა გამოეჩინა.

მე, მათ ადგილზე, ერთ მხარეს წასულ მინისტრს დავაყენებდი, მეორე მხარეს – მოქმედ მინისტრს. აქ პოლიტიკაზე საერთოდ არ არის საუბარი, საუბარია ქვეყნის განვითარებაზე, ჩვენ ეს ინტერესი უნდა გვქონდეს. სხვაგვარად ჩვენი ქვეყანა წინ ვერ წავა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში, თუ გიორგი კვირიკაშვილს არ ჩავთვლით, არც ერთ თანამდებობის პირს არ უთქვამს, რატომ წავიდა თანამდებობიდან, ეს გააკეთა გიორგი ქობულიამ, მან სრულიად ღიად და ცალსახად ისაუბრა, რატომ და რისთვის, ამ ყველაფრის მიმართ საზოგადოების ინტერესი ძალიან მაღალი იყო.

***– „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატი შეხვედრას ესწრებოდა. რითი ხსნით თქვენ ამას?***

– ეს მათი მთავარი პასუხისმგებლობაც არის საზოგადოების წინაშე. ალბათ იმიტომ ესწრებოდნენ, რომ ისინი ამ პასუხისმგებლობას გრძნობენ და აცნობიერებენ. მათ პასუხები უნდა ჰქონდეთ იმ კითხვებზე, რომლებიც ხალხს აქვს და ხალხს ამ კითხვებზე პასუხები სჭირდება.

ღია ფორმატი იმიტომაც იყო შერჩეული, რომ ვისაც სურვილი ჰქონდა ამ შეხვედრას დასწრებოდა, ეს თავისუფლად იყო შესაძლებელი.

***– საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა გაემიჯნა ამ შეხვედრას და არ დაესწრო.***

– ეს არ არის ჩემთვის მთავარი და, სიმართლე გითხრათ, ამაში პოლიტიკოსობასაც ვერ ვხედავ.

***– ეკონომიკის კომიტეტმა რატომ თქვა უარი ეკონომიკის ყოფილ მინისტრთან შეხვედრაზე?***

– მე ბატონ რომან კაკულიას, კომიტეტის თავმჯდომარეს, შევთავაზე ღია ფორმატში თანაორგანიზატორობა არა როგორც კომიტეტის თავმჯდომარეს, არამედ როგორც დეპუტატს მიეღო ამ პროცესში მონაწილეობა, თუმცა, მისი პოზიცია ცნობილია.

***– ადვილად მიიღეთ გიორგი ქობულიას თანხმობა ამ შეხვედრაზე?***

– ჩვენ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვქონდა. ვერ ვეტყვი, რომ რაიმე სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რომ ის პარლამენტში მოსულიყო.

ქობულიამ იმდენად სიღრმისეულად ისაუბრა ეკონომიკაზე, იმდენად სიღრმისეული დასკვნები გააკეთა, რომ ფაქტობრივად მან ბევრ საკითხზე პოლიტიკური განცხადება გააკეთა.

***– მთავარ კითხვაზე მიიღეთ პასუხი, თუ ვინ უშლიდა მას ხელს?***

– კონკრეტული გვარები არ დაასახელა. მეტს ველოდი.

***– კონკრეტულ გვარებს ელოდით?***

– დიახ, ველოდი, რომ დაასახელებდა. თუმცა, ძალიან მკაფიოდ თქვა, რომ ის თანამდებობიდან არ წასულა და რომ გადააყენეს. ასევე, მკაფიოდ ისაუბრა, რომ 8 თვის მანძილზე, როდესაც ის მინისტრი იყო, რამდენიმე თვე იყო წინააღმდეგობების, გაურკვევლობებისა და ვერშეთანხმების პროცესი.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, პოლიტიკური თვალსაზრისით მკაფიოდ უპასუხა, თუ რა მოცემულობასთან გვქონდა საქმე.

# თამარ ჩუგოშვილი: „19 მაისს ზუგდიდი დაძაბულობის ცენტრი გახდება“

– ვხედავთ მცდელობას, რომ სტაბილური საარჩევნო პროცესი დაძაბულობაში გადაიზარდოს, – ასე გამოეხმაურა პარლამენტის ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი ზუგდიდში განვითარებულ მოვლენებს.

როგორც ჩუგოშვილმა „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიმართავენ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ზუგდიდს, რადგან „ყველანაირი ნიშანია იმისათვის, რომ შესაძლებელია ვითარების დაძაბვა სწორედ ამ ადგილას მოხდეს“.



– როგორც მოგეხსენებათ, სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი შუალედურ არჩევნებამდე. 19 რიცხვში რამდენიმე საარჩევნო ოლქში გაიმართება საარჩევნო კენჭისყრა.

საარჩევნო პროცესი, ძირითადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. 14 მაისს ცხადი გახდა, რომ სავარაუდოდ, დაძაბულობის ცენტრი გახდება ზუგდიდი. ვიხილეთ აჟიოტაჟი საარჩევნო კომისიასთან.

როგორც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, საარჩევნო ინვენტარის და დოკუმენტაციის გადაცემის პროცესში არ ყოფილა არანაირი კანონდარღვევა.

საოლქო საარჩევნო კომისია კანონის მოთხოვნების სრული დაცვით, სრულიად საჯაროდ და გამჭვირვალედ მოქმედებდა. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გავიმეორო და დავადასტურო ეს განცხადება, რომ გუშინდელ შემთხვევაში არანაირი კანონდარღვევა არ ყოფილა.

მიუხედავად ამისა, ამ ფაქტის გარშემო დაძაბულობის შექმნის მცდელობა მაინც ვიხილეთ.

ამ პროცესის ნაწილია ასევე ოპოზიციის განცხადება, რომ ხდება 5.000 აქტივისტის მობილიზება სხვადასხვა რეგიონიდან ქალაქ ზუგდიდში, რაც იმის მანიშნებელია, რომ ვითარების ესკალაცია იგეგმება სწორედ ამ ადგილას.

ჩვენთვის ეს იმის დასტურია, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატს ზუგდიდში აქვს ძლიერი პოზიციები და არჩევნებში იმარჯვებს, ხოლო ოპოზიციის კანდიდატი მარცხდება. ამიტომ ვხედავთ მცდელობას, რომ სტაბილური საარჩევნო პროცესი დაძაბულობაში გადაიზარდოს.

ნებისმიერ კანონდარღვევას, ძალადობასა და პროვოკაციას, რომელსაც შესაძლოა, ჰქონდეს ადგილი ან ექნება, სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი, კანონისმიერი რეაგირება მოჰყვება.

გვინდა გამოვიყენოთ შესაძლებლობა და მივმართოთ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, როგორც საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ სწორედ ზუგდიდს იმიტომ, რომ ყველანაირი ნიშანია იმისათვის, რომ შესაძლებელია ვითარების დაძაბვა სწორედ ამ ადგილას მოხდეს.

ჩვენი ამოცანაა, არჩევნებმა ჩაიაროს თავისუფალ, სამართლიან გარემოში, მშვიდ გარემოში და ამისთვის მომართულია ყველა სახელმწიფო უწყება.

კიდევ ერთხელ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი იმისათვის, რომ პრევენცია მოხდეს სავარაუდო დაძაბულობის და დარღვევების. ჩვენ ვაპირებთ მათთან ძალიან აქტიურად თანამშრომლობას, ახლაც გვაქვს კომუნიკაცია და კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ზუგდიდზე გაამახვილონ, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

# გიგი უგულავა: „ხალხმა უკვე ფსიქოლოგიურად ჩასვა ივანიშვილი თავისი ამალით მატარებელში, რომელიც მიდის ხელისუფლებიდან



– ჭიათურას სჭირდება მომავალი, მომავალზე ორიენტირებული მერი, რომელსაც აქვს ხედვა და იცის როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკის დივერსიფიცირება, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ განაცხადა. გიგი უგულავას განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, ჭიათურაში გაიმარჯვოს დამოუკიდებელმა კანდიდატმა დავით ჭუმბურიძემ, რომელსაც „ევროპული საქართველო“ და სხვა ოპოზიციური პარტიები უჭერენ მხარს.

– მნიშვნელოვანია, რომ ახალი ხედვა და ახალი სიცოცხლე გაჩნდეს აქ, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ ჭიათურა ჭაობად აქცია. შეუძლებელია, ასეთი რეტროგადული, წარსულზე ორიენტირებული, წარსულის რაღაც მითებზე დაფუძნებული მმართველობა, რასაც გვთავაზობს „ქართული ოცნება“. ჭიათურას სჭირდება მომავალი, მომავალზე ორიენტირებული მერი, რომელსაც აქვს ხედვა, იცის როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკის დივერსიფიცირება, რომ ადამიანებმა ფული იშოვონ სხვადასხვა სექტორიდან და არ იყვნენ მხოლოდ მარგანეცზე დამოკიდებული. ამიტომ დავით ჭუმბურიძის გამარჯვება მართლა რეალურად იქნება შემობრუნება, აქ იმერეთშიც და მთლიანად საქართველოში. ზოგადად „ქართული ოცნების“ ვადა უკვე ამოწურულია, ხალხი ამას უკვე გრძნობს, ხალხმა უკვე ფსიქოლოგიურად ჩასვა ივანიშვილი თავისი ამალით მატარებელში, რომელიც მიდის ხელისუფლებიდან. ახლა მთავარია ეს არჩევნებზე გაფორმდეს, – განაცხადა გიგი უგულავამ.

# მანანა არჩვაძე სანდრა რულოვსის წინააღმდეგ

ხელისუფლებამ სანდრა რულოვსის წინააღმდეგ, პოლიტიკურ არენაზე მანანა არჩვაძე-გამსახურდია გამოიყვანა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლე ამ წუთებში, ზუგდიდის ცენტრში, ზვიად გამსახურდიას მომხრეებს ხვდება და მოუწოდებს ხმა არ მისცენ ოპოზიციის კანდიდატის სასარგებლოდ.

შეხვედრაზე არ იმყოფებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა აქციის მონაწილეების იქ ქართული ოცნების დროშებით და საარჩევნო ატრიბუტიკით მივიდნენ.

– ეს ქალი ნამდვილად იმსახურებს საქართველოდან გაძევებას. ზვიად გამსახურდია, რომელმაც სიცოცხლე შესწირა, ყველაფერი გაიღო საქართველოსთვის... საქართველოში ჩამოვიდა, პირველი მისი ნაბიჯები იყო სამეგრელოში, ვინაიდან იცოდა რა მოელოდა სამეგრელოს და არაფრით არ დაუშვებდა. მტერმა ყველა ლონე იხმარა, მოღალატეებმა, მე მოღალატეებს მერე ჩამოგითვლით, ახლა არ შევეხები მათ და მათ კატეგორიულად უნდა მივმართო და გავაფრთხილო, რომ დღეიდან დატოვონ სამეგრელოს ტერიტორია. გაძევებულ იქნენ ესენი, – განაცხადა მანანა არჩვაძემ.



# თბილისის მერიამ, შესაძლოა, საბავშვო ბაღების საკვებით მომმარაგებელ კომპანია „ნილის“ კონტრაქტი შეუწყვიტოს

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, კომპანია „ნილის“ ანგარიშებს ინკასო დაედო, რის გამოც შესაძლოა, საბავშვო ბაღების საკვებით მომმარაგებელ კომპანიასთან მერიამ კონტრაქტი შეწყვიტოს.

თბილისის მერის მოადგილის ილია ელოშვილის თქმით, თუკი კომპანიის მხრიდან ვალდებულებები სრულად არ შესრულდება, „ნილი“ სხვა კომპანიით ჩანაცვლდება.

– რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა ისეთი, რომ „ნილმა“ ვერ შესძლო თავისი ვალდებულებების შესრულება რამდენიმე დღის განმავლობაში. ჩვენ ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით, შესაბამისად, თუკი დღეს და უახლოეს დღეებში ეს სრულიად არ იქნება გამოსწორებული „ნილის“ მიერ, ჩვენ მივიღებთ შესაბამის კონტრაქტუალურ ზომები, რაც ასევე შესაძლებელია, რომ მოხდეს მისი ჩანაცვლება, – აღნიშნა ელოშვილმა.

# საქართველო აშშ-ჩინეთის დაპირისპირების ადგილიც ხდება

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიო წესრიგის შეცვლა და გეოპოლიტიკური პროცესები სულ უფრო მეტად მოქმედებს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაზე. ექსპერტების მტკიცებით, რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური ნიშის დაკავება დაიწყო ჩინეთმა.

მიმომხილველების შეფასებით, ჩინეთი სამხრეთ კავკასიით ახლებურად დაინტერესდა. 2013 წელს, როცა გახმიანდა ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, პეკინი კავკასიას ამ მარშრუტის მნიშვნელოვან მიმართულებად არ მოიაზრებდა. დღეს სიტუაცია შეიცვალა. ჩინეთმა დაასკვნა, რომ სამხრეთ კავკასია ცენტრალური და დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფნის ნაწილია და ჩინეთისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს. განსაკუთრებით საყურადღებოა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და ანაკლიის მომავალი ღრმაწყლოვანი პორტი.

რეგიონალური ექსპერტების აზრით, თუ პეკინი სამხრეთ კავკასიაში გააზრებულად იმოქმედებს, შეძლებს თავისი ნიშის მოპოვებას ისე, რომ არ დაუპირისპირდეს რუსეთს და კავკასიიდან უმოკლესი გზით გავიდეს ევროპის ბაზრებზე.

ამისთვის ჩინეთს სომხეთზე მეტად საქართველო და აზერბაიჯანი გამოადგება. საქართველოში ჩინეთს ინვესტიციებიც აქვს დაბანდებული – ის აკონტროლებს ქუთაისის სამრეწველო ზონას, ფლობს ბაზის ბანკს, სასტუმროებს, ღვინის საწარმოს. თბილისის ზღვაზე ჩინეთმა მთელი კვარტალი ააშენა.

ჩინეთის გააქტიურებას საქართველოსა და კავკასიის სხვა სახელმწიფოებში ემთხვევა ამერიკელი ანალიტიკოსების შეშფოთება. ცნობილია, რომ აშშ-ის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად, ჩინეთი აშშ-ისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.



ანალიტიკოსების ბოლო დასკვნებით, რუსეთისა და ჩინეთის პარტნიორობა იმაზე შორს წავიდა, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენდა, რაც ემუქრება აშშ-ის ინტერესებს. ამერიკელი ექსპერტების თქმით, რამდენიმე წლის წინ ანალიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ პეკინი და მოსკოვი ერთმანეთთან მხოლოდ ზოგიერთ საკითხში ითანამშრომლებდნენ. მათი პარტნიორობა უკვე ძალიან ბევრ სფეროს მოიცავს. ორივე რეჟიმი არადემოკრატიულ მმართველობაზე დგას. ორივე აშშ-ის მეთაურობით შექმნილი მსოფლიო წესრიგის გარდაქმნას ესწრაფვის.

ჩინეთს ევროპისთვის მთავარ პრობლემად მიიჩნევენ ფრანგი ექსპერტები. მათი აზრით, რუსეთი, რომელიც მხარს უჭერს სირიისა და ირანის რეჟიმებს და ეხმარება პოპულისტებს ევროპაში, ევროპის დესტაბილიზაციას ჩინეთზე ნაკლებად მოახერხებს. პეკინის წინააღმდეგ ევროპა, აშშ და რუსეთი უნდა გაერთიანდნენ.

რუსეთი და ჩინეთი რამდენიმე სხვა სახელმწიფოსთან ერთად შედიან შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში. მოიაზრება ამ ორგანიზაციის გაძლიერება. 13-14 ივნისს ბიშკეკში გაიმართება ამ ორგანიზაციის მორიგი სამიტი. მასზე აზიის ქვეყნები დიდ იმედებს ამყარებენ. ანონსდება, რომ სავაჭრო-ეკონომიკური პროგრამების გარდა, ფორუმი გეოპოლიტიკურ ცვლილებებსა და შანხაის ორგანიზაციის ახალ როლზე იმსჯელებს.

ცხადდება, რომ ეს ორგანიზაცია გაეროს მინიმოდელი ხდება. ის დიდ დროს დაუთმობს რეგიონის სტაბილურობასა და კონფლიქტებს, გამოწვევებს ევრაზიის სივრცეში.

ჩინეთის მხრიდან საქართველოთი დაინტერესებიდან გამომდინარე, შანხაის ორგანიზაციას საქართველოს კონფლიქტების განხილვის ამბიციაც გაუჩნდება.

კავკასიის რეგიონი აშშ-თვისაც უფრო მეტ დატვირთვას იძენს. როგორც ჩანს, საქართველო აშშ-ჩინეთის არაპირდაპირი დაპირისპირების ადგილიც გახდება.

# „თემირლანის უდანაშაულობა ხელისუფლებამ უნდა აღიაროს“

გულიკო ბალაძე

უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს პანკისთან დაკავშირებულ თემებზე.



## თენგიზ დიხამინჯია: „მალხაზ მაჩალიკაშვილი კონსტრუქციული თანამშრომლობისა და ცნობიერების მატარებელია“

***– ბატონო თენგიზ, ვითარება პანკისში უფრო ხომ არ გართულდა, როდესაც მაჩალიკაშვილთან დაკავშირებით სუსმა ჩანაწერები გამოაქვეყნა, თითქოს ტერაქტს ამზადებდა? უხუცესთა საბჭომაც ღიად განაცხადა, რომ მის გვერდითაა.***

– საქმე გვაქვს მთავრობის გაუაზრებელ და აბსოლუტურად არაადეკვატურ პოლიტიკასთან. აშკარად გამოჩნდა, რომ ორი სახელმწიფო ინსტიტუტი, სუსი და შს სამინისტრო კონფლიქტურ დამოკიდებულებაში თუ არა, არაკოორდინირებულ რეჟიმში იმყოფება.

***– მათი არაკოორდინირებულ რეჟიმში ყოფნა რაში გამოიხატა?***

– ამის თვალსაჩინო გამოხატულება იყო პანკისის მოვლენები. ეს, ფაქტობრივად, აღიარა გომელაურმა პარლამენტში გამოსვლისას, რომ შეცდომა იქნა დაშვებული, როდესაც პანკისში სპეცრაზმი შეიყვანეს. ე.ი. ეს უწყებები, რბილად რომ ვთქვათ, ერთმანეთთან არაკოორდინირებულ დამოკიდებულებაში არიან, ან კონფლიქტურ ვითარებაში იმყოფებიან, ან კიდევ, მომხდარის ერთმანეთისთვის გადაბრალება, ხელის შეხოცვა უნდათ.

***– თქვენ ეს აშკარად დაინახეთ?***

– აშკარად, რა? ლამის დაპირისპირებაში კადიროვი და ჩრდილოკავკასიელები ჩაერივნენ. შეიქმნა პირობა, ჩრდილოეთ კავკასიასთან (რომელთანაც, ასე თუ ისე, დღეს კარგი ურთიერთობა გვაქვს) ვითარების დაძაბვის ძალიან დიდი საფრთხე შექმნილიყო. ვგულისხმობ რუსულ საფრთხეს. მოგეხსენებათ ფედერაციაა და ემორჩილებიან რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. ხანძარი, ფაქტობრივად, გახარიამ ჩააქრო.

***– სუსის როლი რა შეიძლება იყოს პანკისში ვითარების განმუხტვისა და სიმშვიდის დამკვიდრებაში?***

– სუსმა უნდა გამოავლინოს ჭეშმარიტი აგენტურა, ტერორიზმის პოტენციური მხარდამჭერი ადამიანები და ერთმანეთისაგან გამიჯნონ ვაჰაბიზმი და ჩრდილოეთ კავკასიურ მორალზე დაფუძნებული ისლამური წესები. აქ განსაკუთრებული ხელოვნებაა აუცილებელი, მაგრამ მაგ უწყებას ეს, საერთოდ, არ გააჩნია. უცოდინარი ადამიანებითაა დაკომპლექტებული.

***– პოლიციელებისთვის ქვების სროლა და ჯოხების რტყმევაც არ არის ნორმალური.***

– ცხადია, მაგრამ ყველაფერი მიზეზებიდანაა. როდესაც სპეცრაზმი შეგყავს ერთი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის ნაცვლად, რაზეა ლაპარაკი. თურნავა ჯერ ბენდუქიძესთან მუშაობდა, შემდეგ ბეჟუაშვილებთან. ახლა ეკონომიკის მინისტრად დაგვინიშნეს. ის არის ჰესების მშენებლობის პროპაგანდის ერთ-ერთი მამამთავარი, რომელმაც შს მინისტრი აიძულა, წასულიყო პროვოკაციულ ქმედებაზე, პანკისში შეეყვანა სპეცრაზმი და საპასუხოდ მიიღეს ომი.

ამ ომში გამარჯვებული მხარე არ არსებობს. ამ ადამიანებს არ ესმით ელემენტარული პოლიტიკის ელემენტარული მნიშვნელობა. კიდევ კარგი, გადავრჩით და იქ გვამი არ დაიდო. როდესაც რუსეთი აცხადებს, იქ, სადაც ჩემი მოქალაქეების ბიზნესინტერესებია და მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნა საფრთხე, რუსეთი იტოვებს უფლებას, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველანაირი სამხედრო ბერკეტები. ვინც ამ ვითარებას ვერ აფასებს და პროვოკაციაზე აგებს მთელ ქვეყანას, მათ შორის, ფეთქებადსაშიშ რეგიონს, მთავრობაში ყოფნას არ იმსახურებს.

***– ამ შემთხვევაში რუსეთი რა შუაშია?***

– რუსეთი იმ შუაშია, იქ ერთი გვამი მაინც რომ დადებულიყო, თუნდაც ორმაგი მოქალაქე ყოფილიყო, ან რუსეთის მოქალაქე ყოფილიყო, ჩეჩნეთის მოქალაქეები ხომ არიან.

***– ჩეჩნებს გულისხმობთ?***

– ჰო, ამ შემთხვევაში ქისტებს ვგულისხმობ.

***– ქისტები ხომ ჩვენი მოქალაქეებია?***

– კი, მაგრამ იქ შერეული ოჯახებიც ცხოვრობენ, გადადიან და გადმოდიან. ისიც კარგად ვიცით, რომ ბევრი ისლამური სახელმწიფოს რიგებში იბრძოდა. 100 კაცამდე იქნება. რუსებს გადაწყვეტილება ამაზეც აქვთ მიღებული – ვინც მის მოქალაქეებს და საზღვრებს უსაფრთხოებას შეუქმნის, ადეკვატური ქმედების უფლებას იტოვებს. რა არის აქ გაუგებარი? ხელისუფლებაში არის ხალხი, რომელიც ამ სცენარს ვერ კითხულობს.

***– მაჩალიკაშვილსა და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე რას იტყვით, რომელიც თავისთავად სიტუაციის დაძაბვას იწვევს?***

– მაჩალიკაშვილთან დაკავშირებით უკვე ახალი გარემოებებია.

***– რატომ ვერ მოაგვარა ხელისუფლებამ მაჩალიკაშვილთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემა? ამ პრობლემის მოგვარების რა გზებს ხედავთ? ახლა უკვე თვითონ მალხაზ მაჩალიკაშვილს ედავებიან ტერაქტის მომზადებას.***

– ამ პრობლემის მოგვარება ძალიან მარტივია. უნდა დადგინდეს, ვინ არის თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელი და რა გარემოებაში იქნა ის მოკლული. ეს რომ სახელმწიფომ ჩაიდინა, ამაზე სახელმწიფოა პასუხისმგებელი. პასუხისმგებლობას ესენი ვერ გაექცევიან. გარდაცვლილ პიროვნებას ტერორიზმის ბრალდება უნდა მოეხსნას. სამხარაულის ექსპერტიზები და სხვადასხვა განყოფილებები პოლიტიკურ დაკვეთებს არ უნდა ასრულებდნენ. უნდა იყვნენ მიუკერძოებლები და სახელმწიფო დონეზე უნდა აზროვნებდნენ.

***– უკვე მეორედ, ერთ-ერთი ტელევიზიით გავიდა სიუჟეტი, სადაც წარმოადგინეს მტკიცებულებები: ჩატაევთან და მის ჯგუფთან გადაღებული სურათები, სატელეფონო მესიჯების ამონაწერები და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც თემირლან მაჩალიკაშვილის მათთან კავშირზე მიუთითებს. ამაზე რას იტყვით?***

– ეგ ძალიან უსუსური ბრალდებაა, თითიდან გამოწოვილი და გათვლილია მხოლოდ „ოცნების“ მხარდამჭერ ელექტორატზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელიც ყველაზე მეტად დაინტერესებულია ტერორიზმთან ბრძოლით და ამ თვალსაზრისით ყველაზე მაღალკვალიფიციური კადრები ჰყავს მთელ მსოფლიოში, დაადგინა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილი არანაირ ტერორიზმთან დაკავშირებით ბრალდებული არ არის, მას ეს ბრალი არ მიუძღვის.

თემირლან მაჩალიკაშვილს ეს ბრალი რომ ჰქონდეს, ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ამა თუ იმ ფორმით განგაშს ატეხდა და, ბუნებრივია, ამა თუ იმ ფორმით, „ოცნებაც“ ამას გამოიყენებდა. რადგან ამის საფუძველი არ ეძლევა, ეს არის უსუსური არგუმენტები. ასეთ სპეკულაციას მთავრობამ თავი უნდა დაანებოს. ამ მხრივ, თუ ვინმე უმაღლესი უფლებებითაა აღჭურვილი, ეს ამერიკა და მისი სადაზვერვო სამსახურია. მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილი ბრალეული არ არის.

სატელეფონო ამონაწერები და ბევრი სპექტაკლია დადგმული, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება წარმატებით იყენებდა. იგივე კადრებია დღესაც, იგივე მეთოდებს იყენებენ და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ.

***– რისი ეშინია ხელისუფლებას? თუ არ აქვს მტკიცებულებები, აღიაროს, ბოდიში მოუხადოს და დაასრულოს ეს გაურკვევლობა.***

– მალხაზ მაჩალიკაშვილის დიდბუნოვნობა იქიდანაც გამოჩნდა, როდესაც განაცხადა, მე მკვლელის დასჯას არ მოვითხოვ, ოღონდ მე და ჩემი ოჯახი გამათავისუფლეთ საშინელი ბრალდებისაგან – ტერორიზმისაგან. ხელისუფლებისაგან მხოლოდ და მხოლოდ ვითხოვ აღიარებას, რომ შეცდომა დაუშვესო. გასაგებია, ხელისუფლება ამაზეც არ მიდის.

თემირლან და მალხაზ მაჩალიკაშვილების საქმეები აბსოლუტურად სხვადასხვაა. მალხაზ მაჩალიკაშვილს უმძიმესი ბრალიც რომ მიუძღოდეს, ეს არანაირად არ ათავისუფლებს ხელისუფლებას მისი შვილის მკვლელობის საქმის გამოძიებისაგან.

ხელისუფლება ცდილობს, ეს ორი საქმე ერთმანეთში აურიოს, აზილოს და საზოგადოებაში მისგან შექმნას სტერეოტიპი, რომელიც თავიდან ბოლომდე ტერორიზმის იდეასთანაა მიბმული. ეს არის ხელისუფლების ამოცანა. მალხაზ მაჩალიკაშვილი კი მხოლოდ აღიარებას ითხოვს, მეტ არაფერს.

***– თუ ხელისუფლება აღიარებს თემირლანის უდანაშაულობას და ბოდიშს მოიხდის, შემდეგ რა იქნება?***

– ხელისუფლება, რომელიც ამას აღიარებს, უნდა წავიდეს. იმდენი ტვინი კი აქვთ, რომ ამას მიხვდნენ.

***– ამას ხომ მოჰყვება ხალხის აღშფოთება, თუ არ იყო დამნაშავე, რატომ ატარებდით სპეცოპერაციას და რატომ მოკალითო.***

– ჰო. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა შემდეგ ხელისუფლებას ეკისრება. ამის შემდეგ, როგორც მინიმუმ, ხელისუფლება უნდა გადადგეს. საზოგადოება და ოპოზიცია ამ შეცდომას არ შეარჩენს. ეს ხელისუფლებამ იცის და გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებას პრინციპით მოქმედებს.

***– თუ სუსს ამ ბრალდებისთვის საფუძველი აქვს და ვითარებას არ ამწვავებს?***

– თუ საფუძველი აქვს, უნდა დაამტკიცოს უტყუარი მტკიცებულებებით. მალხაზ მაჩალიკაშვილის საქმე თუ ტერორიზის საფუძველს იძლევა, უნდა გამოიძიონ, მაგრამ შვილმკვდარ მამას რაღაც წამოსცდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, შვილმკვდარი მამის იმპულსები როგორია და ეს კაცი რა დღეშია. ეს საქმე თავიდან ბოლომდე მიუკერძოებლად უნდა იქნას გამოძიებული. თუმცა, აქ ბევრი კითხვის ნიშანია.

***– ზოგს ეგონა, მალხაზ მაჩალიკაშვილს დააპატიმრებდნენ.***

– მალხაზ მაჩალიკაშვილის დაპატიმრებას არც იურიდიული, არც მორალური და არც არანაირი საფუძველი არ აქვს. პრაგმატული თვალსაზრისით, მალხაზ მაჩალიკაშვილმა განაცხადა, მე რომც დამიჭირონ, ჩემ მაგივრად ჩემი მეუღლე და შვილი გააგრძელებენ ჩემს საქმეს, ქუჩის საპროტესტო აქციები იქნება თუ სამართლიანობის ბოლომდე აღდგენისთვის ბრძოლა. ამიტომ ამ კაცის დაჭერას, აზრი არ აქვს.

მაჩალიკაშვილის ეს განცხადება ძალიან ენათესავება ბიძინა ივანიშვილის განცხადებას 2012 წელს, თუ მე რამე მომივა, როგორც „ოცნების“ ლიდერს, ჩემს საქმეს ჩემი მეუღლე გააგრძელებსო. ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია და მწყობრიდან გამოყვანა აზრს კარგავდა. სააკაშვილის რეჟიმი ამაში დარწმუნდა და საფრთხეც შემცირდა. ზუსტად ანალოგიურ ვითარებაში იმყოფებიან მაჩალიკაშვილების ოჯახის პრობლემასთან დაკავშირებით. ამას მიფუჩეჩება არ უწერია.

***– როგორ?***

– საზოგადოება ამას ვერ შეეგუება. ამას აქვს მორალური, ისტორიული, რელიგიური და ყველანაირი განზომილება და პარამეტრები. მაჩალიკაშვილი არის ისეთი პიროვნება, როგორებიც მუსლიმანურ რელიგიაში იყვნენ. ჩემი აზრით, ერთ-ერთი უპირველესი იყო სალადინი, რომელიც იბრძოდა ჯვაროსნებთან. ათწლეულების განმავლობაში იყო მუსლიმანური კოალიციის ლიდერი – შემწყნარებლობა და დიდბუნოვნება გამოამჟღავნა, როდესაც იერუსალიმი აიღო და ომის, თამაშის წესებისა და რაინდული კოდექსის ყველა თვისება დაიცვა ისე, რომ ისტორიკოსებიც გაკვირვებულები არიან, იმ პირობებში ეს როგორ მოახერხა.

***– საინტერესო შედარებაა. ამ შემთხვევაში?***

– ამ შემთხვევაში მალხაზ მაჩალიკაშვილიც არის კონსტრუქციული თანამშრომლობისა და ცნობიერების მატარებელი, რომელმაც მუსლიმანური რელიგიისა და კავკასიური ეთიკის ერთმანეთთან ჰარმონიზირებას მიაღწია და საზოგადოებას შესთავაზა ის გამოსავალი, რომელიც ჩვენი შვილების გადარჩენასა და ჰუმანიზაციასთან არის დაკავშირებული.

***– ისე, მაშინ პანკისში სპეცოპერაციის ჩატარების რაღაც საფუძველი ალბათ ჰქონდათ, თორემ, ისე როგორ შევიდოდნენ?***

– ყველაფერს რაღაც საფუძველი აქვს. თუ საფუძველი ჰქონდათ, ტექნოლოგიურად ეს შესვლა უნდა ყოფილიყო გარანტირებული. ნებისმიერი ოპერაცია, თუ მას აქვს საფუძველი და სახელმწიფოებრივი მოტივაცია, ტექნოლოგიურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი. თუ ოპერაცია ტექნოლოგიურად არ არის უზრუნველყოფილი და მოუმზადებლად ჩაატარებ, მისამართი შეგეშლება, ერთი სახლის მაგივრად, მეორე სახლში შეხვალ და იქ ბავშვს მოკლავ, ეს იქნება არაპროფესიონალიზმის გამოხატულება.

***– თუ შეცდომა იქნა დაშვებული, ხელისუფლებამ მინიმუმ სუსის ის შემადგენლობა მაინც უნდა გადააყენოს, რომელიც ამაში მონაწილეობდა.***

– საბერძნეთში მთელი მთავრობა გადადგა, როდესაც კედლიდან ასხლეტილი ტყვია ბავშვს მოხვდა და მოკვდა. მთელი საბერძნეთი ქუჩაში გამოვიდა და მთელი ქუჩები დაარბიეს. ლამის საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდა. ასეთი რაღაცები არ უნდა ეპატიოს არც ერთ ხელისუფლებას. გინდ მე ვიყო და გინდ – სხვა.

***– ის მთავრობა გადადგა, მაგრამ ციპრასი ისევ ხელისუფლებაშია.***

– კი, მაგრამ ძლიერი დარტყმა მიიღო. ამიტომ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.

# გიორგი ქობულია: „მმართველ გუნდში დისკუსიისას ერთხელ მართლაც მიწოდეს უცხო სხეული“



— მმართველ გუნდში დისკუსიისას მართლაც მიწოდეს უცხო სხეული, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილმა მინისტრმა გიორგი ქობულიამ პარლამენტში ღია ფორმატში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. კითხვაზე, კონკრეტულად ვინ უწოდა მას უცხო სხეული, გიორგი ქობულიამ განაცხადა, რომ არაერთმა.

— არ მინდოდა ამაზე კომენტარის გაკეთება, მაგრამ ვერ შევიკავებ თავს. ქალბატონო ნატო, მე მგონი, თქვენ მითხარით, რომ თქვენი აზრებით უცხო ნაწილი ბრძანდებოდითო. მე ერთხელ ამ დისკუსიებში მართლაც მიწოდეს უცხო სხეული, — მიმართა ქობულიამ დეპუტატ ნატო ჩხეიძეს.

— ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა რომ არ ვიყოთ, სხვანაირად მოვიქცეოდით, მაგრამ თუ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, ხალხთან ძლიერი კომუნიკაციის მექანიზმი გვჭირდება, — ამის შესახებ ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა გიორგი ქობულიამ პანკისში „ხადორი 3“-ის ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე საპასუხოდ განაცხადა.

ქობულიას აზრით, ასეთი მცირე ზომის ჰესთან დაკავშირებით პანკისის ხეობის მსგავსი უსიამოვნო სიტუაციის ჩამოყალიბება არაოპტიმალურია.

— ჩვენ უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურები გვაქვს ასაშენებელი, რაც აუცილებლად უნდა აშენდეს.

რა თქმა უნდა, გარემოს პირობების უმაღლესი სტანდარტების გათვალისწინებით მარტო ამ პროექტების შესრულება ჩვენი ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იქნება 5-6 წლის განმავლობაში, — განმარტა ქობულიამ.

❖ ❖ ❖

ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა გიორგი ქობულიამ პარლამენტში გამოსვლისას სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო გააკრიტიკა და განმარტა, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსკლუზივი უნდა დასრულდეს, რადგან ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია, რის საფუძველზე და როგორ ხდება შეფასების გაკეთება.

ამის შესახებ ქობულიამ პარლამენტში ანგარიშით წარდგენისას განაცხადა.

ეკონომიკის ყოფილი მინისტრი მიიჩნევს, რომ ქონების შეფასების სისტემა უნდა გადაიხედოს და დამატებითი კომერციული შემფასებლის აკრედიტაცია უნდა დაიწყოს.

— მე ვთვლი, რომ უნდა მოხდეს ქონების შეფასების სისტემის გადახედვა და, სავარაუდოდ, ე.წ. სამხარაულის ექსკლუზივი უნდა მოიხსნას. ასევე, დამატებითი კომერციული შემფასებლის აკრედიტაცია უნდა მოხდეს. დღესდღეობით, მხოლოდ ერთი რაღაც ორგანიზაცია აკეთებს შეფასებას და ძალიან ხშირად გაურკვეველია, რის საფუძველზე და რანაირად ხდება შეფასება. ხშირადაა ის დიდი გაუგებრობის და კამათის საგანი, — აცხადებს ქობულია.

BMG

# რომან კაკულია: „შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბევრი ადამიანი თვალდახუჭული შემოიყვანეს პარტიაში, მერე გამოფხიზლდნენ და მიხვდნენ, სად ყოფილან“



— თუ გიორგი ქობულიამ იგულისხმა ის, რომ ბიძინა ივანიშვილს აქვს განსაკუთრებული და განსხვავებული როლი ამ ქვეყნის განვითარებაში, ეს არის მოცემულობა და ამის კლასიკურ წიგნებში ამოკითხვა არ სჭირდება. მე ბევრ ადამიანს ვუყურებ, რომელიც პოლიტიკიდან მიდის და შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისინი თვალდახუჭული შემოიყვანეს პარტიაში, მერე გამოფხიზლდნენ და მიხვდნენ, სად ყოფილან. „ქართული ოცნება“ რომ გამჭვირვალე და ევროპული სტანდარტის მართვის გუნდი არ იყო, ეს ჩემთვის თავიდანვე გასაგები იყო და მივიღე ეს. ვინც მოდის გუნდში, თავიდანვე თუ გაიაზრებს ამას, კარგი იქნება, — ასე შეაფასა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ ეკონომიკის ყოფილი მინისტრის განცხადება არაფორმალურ მმართველობაზე.

დეპუტატებთან შეხვედრაზე გიორგი ქობულიამ განაცხადა: „არაფორმალური თამაშის წესებზე მე მქონდა ძალიან ღია მოლაპარაკება, სანამ მინისტრის თანამდებობას დავიკავებდი. მქონდა სრული შეთანხმება, რომ ჩვენ არ ვიმუშავებდით სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა წესებით, მაგრამ ეს ყველაფერი არ გამართლდა. რაღაც გამონაკლისები მოხდა, სამწუხაროდ.“

რომან კაკულიამ „კომერსანტთან“ საუბარში ასევე შეაფასა გიორგი ქობულიას მიერ დასახელებული მიზეზები ეკონომიკის განვითარების შეფერხებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სახელმწიფო სტრუქტურებში არაკვალიფიციურ კადრებს ასახელებს.

რომან კაკულია მიიჩნევს, რომ არსებული სიტუაცია ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, თუმცა მათ გარდა შეფერხებების ბევრი განმაპირობებელი ფაქტორი არსებობს ქართულ ეკონომიკაში.

— არაკვალიფიციური კადრების არსებობა ეკონომიკაში მთავარი რამდენად არის ვერ გეტყვით, მაგრამ ერთ-ერთი შემაფერხებელი ნამდვილად არის და ამაში განსაკუთრებული არაფერია. ძალიან დიდი დატვირთვა მოდის სახელმწიფო სამსახურებში საშუალო რგოლზე, ეს ადამიანები კვალიფიკაციას იმაღლებენ და მერე კერძო სექტორში მიდიან. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ზოგადად მენეჯმენტის თემა, ბევრი საკითხი ვერ წყდება ჩვენთან მართვის არაეფექტურობის გამო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან ისეთი აღმოჩენა გააკეთა, რაზეც ჩვენ ინფორმირებულები არ ვართ.

ადამიანი, რომელიც მოდის, ხედავს გარკვეულ ნაკლოვანებებს, ამაში ცუდი არაფერია. ჩემი აზრით, ის კონსტრუქციული ადამიანია და მე მივესალმები კრიტიკულ აზრს, ამ თემებში პრობლემები ალბათ არის. რა და როგორ უნდა იყოს ეს მნიშვნელოვანია, თუმცა მთავარია, როგორ მივაღწევთ ამ შედეგებს. მე დადებითად ვაფასებ მის გამოსვლას, თუ ეს არ იყო პოლიტიზირებული, — განაცხადა რომან კაკულიამ.

# „2022 წლისთვის საქართველოში მასწავლებლის საშუალო ხელფასი უნდა იყოს 1.500-1.800 ლარი“



— ჩემთვის ძალიან დიდი ტრაგედიაა, რომ ჩვენი მასწავლებლების საშუალო ხელფასი საქართველოში არსებულ საშუალო სტატისტიკურ ხელფასზეც კი მცირეა და ეს სრულიად მიუღებელია, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჟურნალისტებს ყაზახეთში, პედაგოგების ხელფასებთან დაკავშირებული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, პედაგოგების ხელფასების ზრდა არის იმ ეროვნული იდეის ნაწილი, რომელიც არის ერთადერთი სწორი გზა, რათა საქართველო გახდეს წარმატებული სახელმწიფოდ და დაძლიოს მის წინაშე არსებული ყველა გამოწვევა.

— მე დავპირდი ჩვენს პედაგოგებს, რომ წელსვე დავიწყებდით ხელფასების ზრდას და შემოდგომიდან მასწავლებლების დიდ ნაწილს უკვე ხელფასი გაეზრდება. ამასთანავე, მე ძალიან აქტიური კომუნიკაცია მქონდა ჩვენს პედაგოგებთან. მათი სურვილი იყო და სამართლიანობის განცდიდან გამომდინარეც, ეს აუცილებლად უნდა გაგვეკეთებინა. კერძოდ, სახელმწიფო მზად არის, ღვაწლმოსილ პედაგოგებს, რომლებიც წლების განმავლობაში ზრდიან ჩვენს თაობებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი სისტემიდან წასვლას მოისურვებენ, 2 წლის კომპენსაცია გადაუხადოს იმ ძალიან დიდი ღვაწლისთვის, რაც თითოეული მათგანს აქვს ჩვენი განათლების სისტემის წინაშე. ჩვენი ეროვნული იდეის — განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ პედაგოგი საქართველოში იყოს ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული პროფესია, სადაც ღირსეული ანაზღაურება არსებობს, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის თქმით, მთავრობის მიზანია, 2022 წლისთვის, საქართველოში მასწავლებლის საშუალო ხელფასი 1.500-1.800 ლარის დიაპაზონში იყოს.

# ნათია თურნავა: „გიორგი ქობულია კარგი ანალიტიკოსი და თეორეტიკოსია“



— გიორგი ქობულია კარგი ანალიტიკოსი და თეორეტიკოსია, — ამის შესახებ ყაზახეთში ვიზიტით მყოფმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

ამასთან, თურნავამ ქობულიასა და დეპუტატთა ნაწილის დღევანდელი შეხვედრის კომენტირებისგან თავი შეიკავა, რადგან მისი თქმით, ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გამოსვლისთვის არ მოუსმენია.

— არ მქონდა შესაძლებლობა, მომესმინა და მედევნებინა თვალყური გიორგი ქობულიას გამოსვლისთვის. ამიტომ კონკრეტულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. გიორგი ქობულია კარგი ანალიტიკოსია, კარგი თეორეტიკოსი. რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯებს, ჩვენ მათ ახლა ვდგამთ და ვახორციელებთ, — აღნიშნა თურნავამ, რომელიც სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში ყაზახეთში იმყოფება.

ნათია თურნავა გიორგი ქობულიას მინისტრობის დროს მისი მოადგილე იყო. ქობულიას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კი, მინისტრად დაინიშნა.

1TV

# გიგა ბოკერია: „გიორგი ქობულიას ბიძინა ივანიშვილის ხსენება არ უნდოდა“



გიორგი ქობულიას ბიძინა ივანიშვილის ხსენება არ უნდოდა — ?ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომელიც ეკონომიკის ყოფილ მინისტრთან პარლამენტში გამართულ ღია შეხვედრას ესწრებოდა.

— გიორგი ქობულიას განცხადებები იმას ადასტურებს, რამაც ქვეყანა ჩიხში შეიყვანა. ეს არის არაფორმალური მმართველობის ვითარება, რაც ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება. მას ამ გვარის ხსენება რომ არ უნდოდა, გასაგებია. ის, რომ კორუფციისა და დისფუნქციისკენ გრძელდება ვარდნა, ფაქტია. კარგი მაგალითი მოიყვანა, რომ სწრაფად უნდა გასცე ინვესტორებისთვის დოკუმენტები. რეგლამენტი მოხსნილია, რაც გზის გახსნაა ნეპოტიზმისა და კორუფციისთვის. ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკას ანგრევს. ამომწურავ მოხსენებას ვერ დავარქმევდი, რადგან უფრო მკაფიო პასუხების მომხრე ვიქნებოდი.

გიგა ბოკერიამ შეხვედრაზე არაერთხელ მოუწოდა გიორგი ქობულიას, რომ პრობლემებზე საუბრისას „ქართული ოცნების“ ლიდერის სახელი და გვარი მკაფიოდ დაესახელებინა.

გიგა ბოკერიას შეფასებით, ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, გიორგი ქობულიას გამოსვლა დეპუტატების წინაშე არ იყო ამომწურავი.

IPRESS

# ლევან გოგიჩაიშვილი: „ქობულიაში ის ადამიანი ვერ დაინახეს, რომელიც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, მურუსიძისა და ჩინჩალაძის მსგავსად, კომფორტს შეუქმნიდა“



გიორგი ქობულიაში ის ადამიანი ვერ დაინახეს, რომელიც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს კომფორტს შეუქმნიდა, ისე, როგორც მას კომფორტს სასამართლოში მურუსიძე და ჩინჩალაძე უქმნიან, — ამის შესახებ უმრავლესობის ყოფილმა წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა ჟურნალისტებს ეკონომიკის ყოფილ მინისტრთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

გოგოჩაიშვილის აზრით, ქობულია ივანიშვილის ხასიათთან თანხვედრაში ვერ მოვიდა და ამიტომ თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

— გიორგი ქობულიამ ისაუბრა ზუსტად იმაზე, რაც ჩვენ ვიცოდით და რისი დადასტურებაც მისგან გვინდოდა. შეიძლება მას დღეს სიმძაფრით არ უსაუბრია, მაგრამ ყველა მნიშვნელოვან საკითხს და პრობლემას შეეხო — ეს არის მმართველობის პრობლემა, ეს არის გაჩერებული ბიუროკრატია, ეს არის პარტიის თავმჯდომარესთან დაახლოებული ოდიოზური ბიზნესმენები — მათი ინტერესები და ცხვირის ჩაყოფა ქვეყნის ეკონომიკაში, — აღნიშნა ლევან გოგიჩაიშვილმა.

IPN

# აპრილში საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები 16.1%-ით გაიზარდა

წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-აპრილში შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 856 მილიონ დოლარს (ზრდა +8.4%), რაც 66 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, 2019 წლის აპრილის მონაცემებით, შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 277 მილიონ დოლარს (ზრდა +16.1%), რაც 38 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

# „13 წლის გოგიტა ირემაძის მკვლელობისთვის ექიმები და პოლიციელები უნდა დაისაჯონ“



– ჩვენი მოთხოვნაა, რომ 13 წლის გოგიტა ირემაძის მკვლელობის საქმის წარმოება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადმოვიდეს.

ამის შესახებ ბიძის მიერ მოკლული 13 წლის გოგიტა ირემაძის მკვლელობის საქმეზე საუბრისას, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტმა ეკა ქობესაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნულ საქმეზე პასუხისგებაში უნდა მიეცნენ როგორც ექიმები, რომლებმაც მოკლულ გოგიტა ირემაძის ბიძას, ვალერი ირემაძეს, შესაბამისი მკურნალობა არ აღმოუჩინეს, ასევე პოლიციის ის თანამშრომლები, რომელთა უმოქმედობამ ან დაგვიანებულმა ქმედებებმა გამოიწვია ეს ტრაგედია.

– აღნიშნული დანაშაული მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მოხდა. იმ პერიოდიდან დღემდე, არ არის არანაირი სახის შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული, გარდა იმისა, რომ უშუალოდ მკვლელობის აღმასრულებელს მიესაჯა არანებაყოფლობითი მკურნალობა და გადაყვანილია ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში.

ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ადამიანი იყო შეურაცხადი, როდესაც ის ამ ქმედებას ახორციელებდა. ამ ადამიანმა, ვიდრე ამ დანაშაულს ჩაიდენდა, წინა დღეებში გაიარა ვრცელი გზა იმისთვის, რომ ის დაეწვინათ საავადმყოფოში და ემკურნალათ. მისი მეგობრები და ოჯახის წევრები დაატარებდნენ მას საავადმყოფოში, ორ კლინიკაში იყო მიყვანილი, საიდანაც გადაამისამართეს თბილისში, თუმცა თბილისის კლინიკამ ადეკვატურად არ მიიღო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არ მოახდინა შესაბამისი გამოძიება და არ მოხდა ამ ადამიანის დაწვენა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ეს ადამიანი გაწერეს სახლში და შემდეგ, როდესაც მოხდა აღნიშნული ქმედება, პოლიციის გულგრილობამ და არაკომპეტენტურმა საქციელმა გამოიწვია ეს ტრაგიკული შემთხვევა. პოლიციას რომ იმ წუთშივე ემოქმედა, მყისიერად და კანონის ფარგლებში, რაც მას ევალება, შესაძლოა, ეს ტრაგედია აგვეცილებინა თავიდან. მეზობლებსაც არ მისცეს სახლში შესვლის საშუალება და თვითონაც არ იმოქმედეს.

ამ შემთხვევაში გვაქვს ორი ორგანო – ექიმები და პოლიცია, რომელთა დაუდევარმა ქმედებამ გამოიწვია აღნიშნული ტრაგედია. ჩვენი მოთხოვნაა, რომ საქმის წარმოება გადავიდეს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და იქ მოხდეს გამოძიების გაგრძელება და ამ საქმეზე პასუხისგებაში მიეცნენ როგორც ექიმები, ისე პოლიციის ის თანამშრომლები, რომელთა უმოქმედობებმა გამოიწვია ამხელა ტრაგედია, – აღნიშნა ადვოკატმა.

შეგახსენებთ, რომ რუსთავში 13 წლის მოზარდი საკუთარმა ბიძამ 10 თებერვალს მოკლა.

# მალხაზ მაჩალიკაშვილი: „სოსო გოგაშვილი ცოცხალი მჭირდება“



მალხაზ მაჩალიკაშვილი სოსო გოგაშვილს დაცვას ჰპირდება – შვილმკვდარი მამა ამბობს, რომ სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი მას თემირლანის მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად „ცოცხალი სჭირდება.“

ცოტა ხნით ადრე ანალოგიური განცხადება მაჩალიკაშვილმა გააკეთა სოციალური ქსელითაც.

ამ განცხადებით მაჩალიკაშვილი გოგაშვილის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ რისკის ქვეშ არის მისი და მალხაზ მაჩალიკაშვილის სიცოცხლე და სამართალადამცველებს სიფრთხილისკენ მოუწოდა.

– მინდა ვკითხო, თუ არ ხარ დამნაშავე, საიდან ხარ საფრთხეში, ე.ი. ხარ დამნაშავე. მაგას გავეცი პასუხი, სინამდვილეში მე ვეცდები, დავიცვა ის ადამიანი იმიტომ, რომ მართლაც მე ის ცოცხალი მჭირდება, რომ გავიგო, სინამდვილეში რა მოხდა, რომ არა სოსო გოგაშვილისგან, სხვა ადამიანისგან მე ამას ვერ გავიგებ, – აცხადებს მაჩალიკაშვილი.

# ჭავჭავაძეზე აქციისას დაკავებულ პირებს 1.500 ლარიანი ჯარიმა დაეკისრათ



ვახუშტი მენაბდის, კახა ავალიშვილის, ცოტნე ცხვედიანის, გიორგი კობახიძის, გიორგი სოფრომაძისა და დავით სუბელიანის მიმართ სამართალდარღვევის პროცესი შეწყდა და ყველა მათგანს 1.500-1.500 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ, 15 მაისს, მიიღო. ყველა მათგანის დაჯარიმების თაობაზე გადაწყვეტილება მოსამართლე ივანე აღნიაშვილმა გამოაცხადა.

კახა ავალიშვილი, ცოტნე ცხვედიანი, ვახუშტი მენაბდე, გიორგი კობახიძე, გიორგი სოფრომაძე, დავით სუბელიანი 2 აპრილს, ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.

ექვსივე პირი საზოგადოებრივი წესრიგისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით იყო დაკავებული.

დაკავებულთა შორის კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე და მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ წევრი დავით სუბელიანი იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ ჭავჭავაძის გამზირზე, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას მიწა ჩამოიშალა და ორი ადამიანი მოიყოლა. მიწის მასიდან 25 წლის კაცის ცხედარი ამოიყვანეს. 8 საათიანი სამძებრო სამუშაოების შემდეგ კი, მეორე ცხედარიც იპოვეს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის დამკვეთ კომპანიას საქმიანობის უფლება შეუჩერდა, ორ ქვეკონტრაქტორ კომპანიას კი ჯარიმა დაეკისრა.

# ცოლის თვითმკვლელობამდე მიყვანისთვის გ.ჯ. დააკავეს



ახალგაზრდა ქალის თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ფაქტზე პოლიციამ მისი მეუღლე დააკავა, დედამთილს კი ბრალი წარედგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული გ.ჯ. მეუღლის მიმართ ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 9 მაისს მეუღლეზე – 1986 წელს დაბადებულ მ.მ.-ზე ფიზიკურად იძალადა. აგრეთვე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სისტემატურად ამცირებდა მეუღლის პატივსა და ღირსებას.

აღნიშნულის გამო, ქალმა თვითმკვლელობა სცადა და თვითდაზიანება მიიყენა. დაშავებულს სამედიცინო დახმარება საავადმყოფოში გაეწია. ამჟამად მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

სისტემატური ფსიქოლოგიური ძალადობა გამოიკვეთა დაზარალებულის დედამთილის -1958 წელს დაბადებული ე.შ.-ს მხრიდანაც, რის გამოც მას ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე ბრალი წარედგინა.

გამოძიება ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტებზე, სსკ-ის 11 პრიმა 115-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

# ზუგდიდში ნარკორეალიზატორი დააკავეს



გუშინ, 15 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ნიკოლოზ დიასამიძემ ბრიფინგი გამართა.

ნიკოლოზ დიასამიძის განცხადებით, სამართალდამცველებმა სამეგრელოში ნარკორეალიზატორი დააკავეს და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 14 მაისს ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდში, ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული ვ. კ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღებას სისტემატურად ახდენდა. მისი პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დღემდე სამართალდამცველებმა მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით 150-ზე მეტი პირი დააკავეს და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და გავრცელების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას, – განაცხადა ნიკოლოზ დიასამიძემ.

# ქართველმა წყვილმა სომხეთში 2 ადამიანი მოკლა



ქართველმა წყვილმა სომხეთში ორი ადამიანი მოკლა – ამის შესახებ ინფორმაციას „არმნიუსი“ ავრცელებს.

სომხური მედიის ცნობით, სომხეთის საგამოძიებო კომიტეტმა დაასრულა მოკვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ გეღარქუნიქის პროვინციაში 26 წლის სომეხი მამაკაცი და ერევანში 71 წლის პენსიონერი ქართველმა წყვილმა მოკლა.

„არმნიუსის“ ცნობით, ბრალი საქართველოს 3 მოქალაქეს აქვს წაყენებული. ორ მათგანს ბრალი მკვლელობაში ედება, ერთს კი – თანამონაწილეობაში.

სამივე ბრალდებულის საქმე სომხეთის პროკურატურაშია გადაგზავნილი.

# გორში პოლიციამ მანქანიდან ნარკოტიკები ამოიღო

გორში, წმინდაწყლის დასახლებაში პოლიცია საგამოძიებო მოქმედებებს გუშინ, 15 მაისს, რამდენიმე საათის განმავლობაში აწარმოებდა.

ცხინვალის გზატკეცილის პირველ კილომეტრზე ავტომანქანა გააჩერეს და გაჩხრიკეს. მანქანაში ორი მოქალაქე იჯდა.

ავტომობილის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ნივთიერება ამოიღეს, რომელიც სავარაუდოდ, ნარკოტიკის შეიცავს.

დანიშნულია ექსპერტიზები.

საქმეზე გამოძიება 273 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებას გულისხმობს.

# ნატანებში „ლიბერთი ბანკის“ ბანკომატი ააფეთქეს



14 მაისს, გვიან ღამით, ნატანებში საზოგადოებრივი ცენტრი დაარბიეს. ჩატეხილია შესასვლელი კარის შუშა. უცნობებმა შენობაში არსებული „ლიბერთი ბანკის“ ბანკომატი ააფეთქეს.

ბოლო 2 თვის განმავლობაში საზოგადოებრივ ცენტრზე თავდასხმის უკვე მეორე შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა ამ დრომდე გამოძიებული ერთი თავდასხმაც არ არის.

ადგილზე იმყოფებოდნენ გამომძიებლები და „ლიბერთი ბაკის“ წარმომადგენლები.

# საბერძნეთში 29 წლის ქართველი ქალი გაგუდული იპოვეს



საბერძნეთში 29 წლის ქართველი გოგო გარდაცვლილი იპოვეს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ქალი სავარაუდოდ გაგუდული იყო. ნათესავები მას რამდენიმე დღე ეძებდნენ. გოგონა დეიდამ აღმოაჩინა.

მეზობლების განცხადებით, სახლიდან ჩხუბის ხმა ძალიან ხშირად ესმოდათ.

დაღუპულს 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

# პუტინი: „რუსეთს აშშ-სთან ურთიერთობების აღდგენა სურს!“



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სოჭში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო მიიღო.

პუტინმა მას განუცხადა, რომ რუსეთ-აშშ-ს საერთო ინტერესები გააჩნიათ. ესენია რეგიონალური კონფლიქტების ჩაქრობა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების არდაშვება, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა.

– რუსეთს აშშ-სთან ურთიერთობების აღდგენა სურს, – თქვა პუტინმა.

მან გამოთქვა იმედი, რომ ტრამპიც რუსეთთან ურთიერთობების აღდგენითაა დაინტერესებული. ამიტომ მომავალს ოპტიმისტურად უყურებს.

მაიკ პომპეომ პასუხად მიუგო, რომ აშშ-ს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა სურს, მაგრამ არის საკითხები, სადაც კომპრომისის დაშვება არ შეიძლება.

– ერთ-ერთი ასეთი საკითხია უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა. ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია. იგივე შეიძლება ითქვას დონბასზეც, – ამბობს პომპეო.

# ტერეზა მეი ბრექსითის კანონპროექტს პარლამენტს 3 ივნისს წარუდგენს



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი ბრექსითთან დაკავშირებით კანონპროექტს პარლამენტს 3 ივნისს წარუდგენს.

ბრექსითის შესახებ შეთანხმება დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა უკვე სამჯერ უარყო. ამასთანავე, 14 მაისს ტერეზა მეი ლეიბორისტული პარტიის ლიდერს, ჯერემი კორბინს შეხვდა, რომლის შემდეგ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პარლამენტი ბრექსითის შეთანხმებას მეოთხედ განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის დატოვების შესახებ დიდ ბრიტანეთში რეფერენდუმი 2016 წელს გაიმართა.

# ირანმა ოფიციალურად შეწყვიტა ბირთვული შეთანხმების ზოგიერთი ვალდებულების შესრულება

ირანმა ოფიციალურად შეწყვიტა ბირთვული შეთანხმების ზოგიერთი ვალდებულების შესრულება, რომელიც 2015 წელს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსთან ერთად გააფორმა.



ამის შესახებ ირანის ატომური სააგენტოს წარმომადგენელმა განაცხადა.

გასულ კვირას ირანმა ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი გააფრთხილა, რომ აპირებდა უარი ეთქვა ბირთვული შეთანხმების ზოგიერთ ვალდებულებაზე. ეს მოხდა ერთი წლის შემდეგ, როდესაც აშშ-მა ცალმხრივად დატოვა შეთანხმება და თეირანს სანქციები აღუდგინა.

შეთანხმების თანახმად, თეირანს უფლება არ აქვს აწარმოოს 300 კილოგრამი მცირედ გამდიდრებული ურანი და 130 ტონაზე მეტი მძიმე წყალი.

ირანის ატომური სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, ამიერიდან ირანი აღარ დაიცავს შეზღუდვებს ამ მიმართულებით.

თეირანმა შეთანხმების მონაწილე ქვეყნები გააფრთხილა, რომ თუკი მსოფლიოს სახელმწიფოები 60 დღის განმავლობაში არ გადადგამენ ნაბიჯებს ირანის ეკონომიკის დასაცავად ამერიკული სანქციებისგან, ირანი ურანის მაღალ დონემდე გამდიდრებას დაიწყებს.

ევროკავშირის და გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ კვლავაც მხარს უჭერენ ირანთან მოლაპარაკებებს, თუმცა, არ აპირებენ თეირანის ულტიმატუმების მიღებას.

# შეტაკებები ეკატერინბურგში



რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში ომონსა და მოსახლეობას შორის შეტაკება მოხდა. მიზეზი ქალაქის სკვერში ტაძრის მშენებლობა იყო.

მოქალაქეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სკვერი დასვენების ადგილია და იქ ტაძრის აშენება სრულიად უადგილოა. მათ მშენებლები იქიდან გააძევეს, ღობე კი დაამსხვრიეს. ქალაქის ხელმძღვანელობამ ომონი გამოიძახა. მასა და დემონსტრანტებს შორის მოხდა შეტაკება. ერთ-ერთ მანიფესტანტს ნეკნი ჩაუმტვრიეს. მძიმედ დაშავდა 5 ადამიანი.

ბოლოს ომონმა აიძულა მანიფესტანტები, სკვერი დაეტოვებინათ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

# მეტისმეტად მომხიბვლელმა გარეგნობამ მოდელს ცხოვრება გაუმწარა

ბრიტანელი მოდელი ჯენა ტომპსონი აცხადებს, რომ მომხიბვლელი გარეგნობა მას პირადი ცხოვრების მოწყობაში ხელს უშლის.



35 წლის მოდელი ამტკიცებს, რომ ორი წლის წინ ის თავის მეგობარ მამაკაცს დაშორდა და მას შემდეგ სხვას ვეღარ შეხვდა. მას გაცნობის სხვადასხვა საშუალებები ვერ ეხმარება.

– ჩემი აზრით, მამაკაცებს ვაშინებ, – აცხადებს მოდელი, – ვაშინებ ღირსეულ ყმაწვილებს და მხოლოდ მათ ვიზიდავ, რომელთაც მხოლოდ ერთი რამ აინტერესებთ. ან ისეთებს, რომ ეს ყოველივე ერთჯერადია და სერიოზული არაფერი აინტერესებთ.

ტომპსონმა აღნიშნა, რომ მრავალჯერ სცადა ურთიერთობის გაბმა, მაგრამ უშედეგოდ. მისი თქმით, ერთი მამაკაცი, რომელსაც პაემანზე ბრმად შეხვდა, ავტოინსპექტორი აღმოჩნდა, რომელიც იმ დილით მას უადგილო ადგილას მანქანის გაჩერების გამო ეჩხუბა. მეორე მას უმალავდა, რომ უკვე დაოჯახებული იყო. როდესაც მან ეს გაიგო და წავიდა, მამაკაცი უკან გაეკიდა და წაიქცა. შედეგად, მას მისი ექიმთან წაყვანა მოუხდა.

– მას ძალიან ეშინოდა, რომ მისი მეუღლე ამას გაიგებდა, რადგანაც ასეთ შემთხვევებში საავადმყოფოდან ოჯახის წევრებს ურეკავენ და მომხდარის შესახებ ატყობინებენ, – ამბობს ტომპსონი.

მიუხედავად მუდმივი წარუმატებლობისა, მოდელი დანებებას არ აპირებს და იმედი აქვს, რომ წარუმატებლობის პერიოდი მის ცხოვრებაში მალე დასრულდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ავსტრალიაში ორთავიანი ხბო დაიბადა



ავსტრალიის ქალაქ მანიპიკსში ორთავიანი ხბო დაიბადა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ცხოველი ბლითების ოჯახის ფერმაში მკვდარი დაიბადა. ავსტრალიელების ოჯახს აბერდინ-ანგუსური ჯიშის მსხვილფეხარქოსანი საქონლის ფერმა აქვთ. რებეკა ბლითის თქმით, ის შოკში ჩავარდა, როდესაც ნახა, რომ მისმა ძროხამ ორთავიანი ხბო გააჩინა. ცხოველს ორი გული, ორი კუჭი და ერთი კუდი ჰქონდა.

რებეკას მეუღლე ჯეფმა აღნიშნა, რომ 47 წლის მუშაობის პერიოდში მისთვის ეს ასეთი პირველი შემთხვევაა.

ძროხის ჯანმრთელობას, რომელმაც მუტანტი ხბო გააჩინა, საფრთხე არ ემუქრება, ის სხვა ხბოზე ზრუნავს.

როგორც ჩანს, ბლითების ფერმაში სიამის ტყუპები დაიბადა. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში ცხოველი გაჩენიდან მოკლე დროში იღუპება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შეიძინეთ წიგნები!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ტორპედო დაშლის პირას არის

**ტორპედო-საბურთალო**

**2:3**

**წყალტუბო. 26 მაისი**

0:1 ალთუნაშვილი (8), 1:1 ზივზივაძე (32), 1:2 შინდაგორიძე (37), 1:3 აზაცკი (56სკ), 2:3 კაპანაძე (60)

ტორპედო: კვასხვაძე, ხურცილავა, ცინცაძე, გიგაური, ნ.ქავთარაძე, წიქარიძე (თ.კაპანაძე 58), ზივზივაძე, აზაცკი, გეგეჭკორი (ქიმაძე 23), კობახიძე, ლუკა (დოლიძე 59)

საბურთალო: მიგინეიშვილი, მარგველაშვილი, გონსალვესი, შინდაგორიძე, ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე, დვალიშვილი (როლოვიჩი 64), ტერა (ცნობილაძე 81) კაკუბავა, ალთუნაშვილი, გი (გორგიაშვილი 72)




ტურის ცენტრალურ მატჩში ქუთაისის ტორპედომ თბილისის საბურთალოს უმასპინძლა. შეხვედრა დედაქალაქელთა გამარჯვებით, 3:2 დასრულდა და აქტივს მნიშვნელოვანი 3 ქულა შემატეს.

თბილისელებმა მატჩის დებიუტშივე გახსნეს ანგარიში – ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა ვაგნერ გონსალვესმა საჯარიმოში მარტოდ მყოფი სანდრო ალთუნაშვილი მოძებნა, მანაც ერთი მოძრაობით ტორპედოელთა მცველი ჩამოიშორა და კვასხვაძეს პირისპირ დარჩენილს არც გატანა გასჭირვებია.

32-ე წუთზე იმერლებმა გაათანაბრეს ანგარიში – თენგიზ წიქარიძის მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი ბუდუ ზივზივაძემ შეაგება – 1:1. თუმცა, ტაიმი მაინც ჩემპიონებმა მოიგეს. ასისტენტობა ამჯერადაც ვაგნერმა გასწია – კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე კვასხვაძე შეცდა, ლაშა შინდაგორიძემ დაასწრო და თავური დარტყმით საბურთალო დააწინაურა.

თბილისელებმა მეორე ტაიმიც გოლით დაიწყეს – ხანგრძლივი კომბინაციის შემდეგ, ლუკა ლაკვეხელიანმა საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ოლექსანდრ აზაცკიმ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი – 3:1.

ისე მოხდა, რომ ტორპედომ 4 წუთში მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა – საჯარიმოს გარედან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, ყველას თორნიკე კაპანაძემ დაასწრო და ანგარიში 2:3 გახადა.

დარჩენილ დროში ტორპედომ შეუტია, მაგრამ საბურთალო კარს კარგად იცავდა. მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ოგნიენ როლოვიჩს შეეძლო 2-ბურთიანი ჰანდიკაპის აღდგენა, მაგრამ ახლო მანძილიდან ასპროცენტიანი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

საბოლოოდ საბურთალომ მოიგო და, შესაძლოა, ეს ტორპედოელთა ბოლო მატჩი იყოს მიმდინარე სეზონში. მატჩის შემდეგ ქუთაისელთა მთავარმა მწვრთნელმა კახაბერ ჩხეტიანმა დაადასტურა, რომ გუნდი სავალალო მდგომარეობაშია.

– პრობლემების ფონზე გამოჩნდა, ხასიათი ვერ იყო საბრძოლო. ჩვენს ბიჭებს ყველას მადლობას ვუხდი, რაც მთელი ამ ხნის მანძილზე გუნდისთვის გააკეთეს. რა ვიცი... ძალიან მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ ვართ იმის წინაშე, რომ მომდევნო მატჩამდე შეიძლება დავიშალოთ. მინდა გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო. ვნახოთ, რა იქნება...

**ვიტ ჯორჯია-სიონი**

**0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 კირკიტაძე (87)

ვიტ ჯორჯია: ნ.ქავთარაძე, ლაცაბიძე, გეთიაშვილი (გაფრინდაშვილი 67), ჩაკვეტაძე, სეხნიაშვილი, კურდღელაშვილი (ზარიძე 53), ვასაძე (მოსიაშვილი 73), კაკაშვილი, ღუდუშაური, ღირდალაძე, მუსელიანი

სიონი: ლ.ისიანი, რ.ჩაჩუა, უგრეხელიძე, აფაქიძე, სუხიაშვილი, თარხნიშვილი, ხმალაძე, კირკიტაძე (ხეცურიანი 90), თარგამაძე (სიხარულია 62), უგულავა (მაქაცარია 62), ვ.ისიანი

საინტერესო მატჩი იყო. ორივე გუნდისთვის ყველა ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. საბოლოოდ, ბოლნისის სიონმა მოიგო და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სიტუაცია. სავარაუდოდ, ქვემო ქართლელებს ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ.

ერთადერთი გოლი კი, მატჩის მიწურულს გავიდა – თავი დავით კირკიტაძემ გამოიჩინა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 13 | 9 | 0 | 4 | 28-21 | 27 |
| 2.დინამო (ბთ) | 12 | 8 | 1 | 3 | 20-13 | 25 |
| 3.ტორპედო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-16 | 23 |
| 4.დინამო (თბ) | 12 | 6 | 2 | 4 | 24-13 | 20 |
| 5.სიონი | 13 | 6 | 2 | 5 | 18-25 | 20 |
| 6.ჩიხურა | 12 | 4 | 6 | 2 | 15-11 | 18 |
| 7.დილა | 12 | 4 | 2 | 6 | 11-12 | 14 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 13 | 3 | 2 | 8 | 7-14 | 11 |
| 9.ლოკომოტივი | 12 | 3 | 0 | 9 | 13-21 | 9 |
| 10.რუსთავი | 12 | 2 | 3 | 7 | 12-22 | 9 |

# ბასილაშვილი ნადალს ელოდება



ნიკოლოზ ბასილაშვილმა რომის მასტერსზე მეორე წრის მატჩი გამართა. ჩვენებური ამჯერად სერბ ლასლო დიერეს შეხვდა და 2 სეტში გაიმარჯვა – 7:5, 6:4. ამით ქართველი ჩოგბურთელი მერვედფინალში გავიდა. ახლა ნიკა მე-2 ნომრად განთესილ რაფა ნადალსა და ჟერემი შარდის შორის გამარჯვებულს შეხვდება.

უნდა გავიხსენოთ, რომ სერბმა ჩოგბურთელმა ბასილაშვილს რამდენიმე დღის წინ უნგრეთის ღია პირველობის მეოთხედფინალში აჯობა, ახლა კი ქართველმა რევანში აიღო.

მატჩი საათნახევარს გაგრძელდა, პირველ სეტში ორივე მოთამაშე არასტაბილური იყო, ისინი მოპოვებულ ბრეიქებს ანიავებდნენ, მეორეში ქართველის უპირატესობა უფრო გამოიკვეთა.

რომის მასტერსი 1.000-იანი სერიის ტურნირია. ამ გამარჯვებით ნიკოლოზმა 90 სარეიტინგო ქულა გაინაღდა და 64.225 ევრო გამოიმუშავა.

# გრიზმანი ატლეტიკოდან წავიდა




ანტუან გრიზმანმა ატლეტიკოდან წასვლა დაადასტურა. შაბათს პრიმერას ბოლო ტურის მატჩში სიმეონეს ატლეტიკო ლევანტეს ესტუმრება, ეს იქნება გრიზმანის უკანასკნელი მატჩი მადრიდული კლუბის მაისურით.

როგორც ირკვევა, გრიზმანი ატლეტიკოს მთავარ მწვრთნელ დიეგო სიმეონესა და პრეზიდენტ მიგელ ანხელ ხილ მარინს შეხვდა, სადაც გადაწყდა მისი წასვლა.

მსოფლიოს ჩემპიონი შეხვედრაზე პირდაპირი იყო – მან ხილ მარინსა და სიმეონეს განუცხადა, რომ მისთვის უკეთესი იქნება, თუკი კარიერის ეს ეტაპი დასრულდება.

ანტუან გრიზმანი:

– ატლეტიკოში 5 დაუვიწყარი წელი გავატარე. ყველას დიდი მადლობა ამისთვის, თქვენ ჩემს გულში ხართ.

გასულ ზაფხულს გრიზმანმა ატლეტიკოსთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც მისი გამოსასყიდი თანხა 200 მილიონი ევროა. პირველი ივლისიდან ეს თანხა მცირდება 120 მილიონამდე. აქედან ატლეტიკოს 96 მილიონი რჩება, რადგან რეალ სოსიედადს გრიზმანის ტრანსფერის 20% ეკუთვნის.

ანტუან გრიზმანმა ატლეტიკოს მაისურით 256 მატჩში 133 გოლი გაიტანა. ის 2014 წელს ბასკური რეალ სოსიედადიდან გადავიდა მადრიდულ კლუბში. მადრიდში მან უეფას სუპერთასი, ევროპალიგა და ესპანეთის სუპერთასი მოიგო.

გრიზმანის მომავალს ბარსელონას უკავშირებენ...

როგორც ჩანს, დიეგო სიმეონემ გრიზმანის შემცვლელს იტალიაში მიაგნო. აპენინური მედიის ინფორმაციით, „როხიბლანკოს" მესვეურები ზაფხულში იუვენტუსიდან პაულო დიბალას გადაბირებას შეეცდებიან. გეტყვით იმასაც, რომ ტრანსფერის ინიციატორი სიმეონეა. ჩოლოს თანამემამულის თამაში მოსწონს და სურს პაულო რაც შეიძლება მალე გადაიბიროს.

თავის მხრივ იუვეს ფორვარდსაც სურს გუნდის დატოვება, რადგან „ბიანკონერიში" თავს ძველებურად კარგად ვერ გრძნობს. ცნობისთვის, იტალიური გრანდი მასში 100 მილიონ ევროს ითხოვს და ატლეტიკოც მზადაა მის სანაცვლოდ სწორედ ეს თანხა გადაიხადოს.

შეგახსენებთ, რომ დიბალათი ატლეტიკოს გარდა ბაიერნი, ლივერპული, და მანჩესტერი არიან დაინტერესებულები.

# დელტა ცალი ფეხით ფინალშია, ქუთაისმა დინამოს მოედანი დაუთმო



**ქუთაისი-დინამო 76:84**

(24:14, 20:23, 16:25, 16:22)

თბილისის დინამომ ნახევარფინალური სერია გაათანაბრა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ქუთაისში ადგილობრივი გუნდი 84:76 დაამარცხა და პირველ მატჩში წაგებისთვის რევანში აიღო. სერიაში ანგარიში გახდა 1:1. ამით დინამოელებმა მოედნის უპირატესობა მოიპოვეს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მომდევნო 2 მატჩს თბილისში ითამაშებენ და წარმატების შემთხვევაში ფინალში გავლენ.

ქუთაისელებმა მე-2 შეხვედრაც რიხით დაიწყეს და პირველი მეოთხედის შემდეგ 10 ქულით – 24:14 იგებდნენ. კოტე ტულუშის გაწვრთნილმა გუნდმა თავიდან პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე, რომელმაც მეორე პერიოდიდან ტაქტიკა შეცვალა და შედეგიც მოიმკა. დაცვის ხარჯზე დინამოელებმა ქუთაისს საკუთარი ფარისკენ მისასვლელი გზები გადაუკეტეს, თავად კი სწრაფი შეტევებითა და შორი სროლებით ქულას ქულაზე იხვეჭდნენ.

დიდი შესვენებისთვის დინამოელებმა 3 ქულით შეამცირეს ჩამორჩენა და მესამე პერიოდიდან გარდატეხა მოახდინეს. ათწუთეული დინამოელებმა 25:16 მოიგეს და დასკვნითი პერიოდის წინ დაწინაურდნენ. სწორი ტაქტიკისა და შემართების ხარჯზე ხოშტარიას გუნდმა თამაში გამარჯვებამდე მიიყვანა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო დემაგოი ბუბალო – 22 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი, 3 დაფარება. 20 ქულა რეჯერ დოუელის, 17 – ჯორდან სვოპშირის ანგარიშზეა. ქუთაისში 23 ქულითა და 12 პასით საუკეთესო იყო ჯონათან ლი, აკაკი დვალიშვილის ანგარიშზე კი 18 ქულა დაგროვდა.

სერია 3 მოგებამდეა, შემდეგი 2 მატჩი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება.

**მგზავრები-დელტა 67:75**

(14:21, 16:18, 14:15, 23:21)

დელტა ჯერჯერობით ფლეი ოფის საუკეთესო გუნდია. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მგზავრებს ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩიც მოუგო და ფლეი ოფში დაუმარცხებელ სვლას აგრძელებენ. მეოთხედფინალში დელტამ 3:0 სძლია ოლიმპს, რეგულარულ ჩემპიონატში მე-2 ადგილზე გასულ მგზავრებს კი უკვე 2:0 ამარცხებს.

თუკი სერიის პირველ მატჩში დელტას თავიდან გაუჭირდა და მთელი პირველი ნახევარი აგებდა, ამჯერად უპირატესობას თავიდანვე დაეპატრონა. ლაფანაშვილის გაწვრთნილი კალათბურთელები გუნდურად და, რაც მთავარია, დაცვაში აგრესიულად, ხოლო შეტევაში შედეგიანად თამაშობდნენ. პირველი მეოთხედის შემდეგ მგზავრები 14:21 ჩამორჩა, დიდი შესვენებისთვის კი დელტელთა ლიდერობა 9 ქულამდე გაიზარდა. ამას ისიც დაერთო, რომ მგზავრების ამერიკელმა ლეგიონერმა ჯეიჯობ არმსტრონგმა ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა.

ვითარება არ შეცვლილა არც მესამე პერიოდში. დელტა აგრძელებდა კარგ დაცვასა და სწრაფი შეტევებით, ასევე პოზიციური, ფარქვეშა თამაშით ქულების გროვებას. შედეგად, ლაფანაშვილის გუნდის უპირატესობამ ორნიშნა ნიშნულს გადააჭარბა. თამაში დელტელთათვის ხელსაყრელი სცენარით გაგრძელდა და შეხვედრის ბოლომ ისე მოატანა, თამაში არ დაძაბულა. დელტა ლიდერის ამპლუაში იოლად მივიდა ბოლო წამებამდე და საბოლოოდ წინა მატჩის მსგავსად კვლავ 8 ქულით – 75:67 იმარჯვა.

გამარჯვებულთაგან 25 ქულით საუკეთესო იყო ოთარ ფხაკაძე, რომელმაც 7-დან 7 ორქულიანი ჩააგდო. 14 ქულა და 10 მოხსნა ბექა ბექაურის ანგარიშზეა. მგზავრებში უმეტესი – 15 ქულა ადრიან ბოუიმ მოაგროვა, 11 ქულა კი ტრავმის გამო მოედანზე მხოლოდ 9 წუთით მყოფმა ჯეიკობ არმსტრონგმა მიითვალა.

# ტენ ჰაგი აიაქსიდან წასვლას არ გეგმავს



ამსტერდამის აიაქსის 49 წლის თავკაცმა ერიკ ტენ ჰაგმა მის ირგვლივ არსებულ ხმაურზე პირველი კომენტარი გააკეთა.

ტენ ჰაგის სახელს აქტიურად უკავშირებენ ბარსელონასა და მიუნხენის ბაიერნს. წამყვანი ევროპული გამოცემების მტკიცებით, აიაქსს ლიდერებთან ერთად მთავარი მწვრთნელიც დატოვებს და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გუნდი ამჯერადაც დაიშლება.

ტენ ჰაგი კი, ჯერ არსად წასვლას არ გეგმავს:

– კლუბთან არსებული კონტრაქტი მაკავშირებს და აქ ყოფნით ბედნიერი ვარ. მომავალი სეზონისთვის მუშაობა უკვე დაწყებული მაქვს და აიაქსის დატოვებას არ ვგეგმავ.

ამ სიტყვებით ტენ ჰაგმა ყველანაირ ჭორს ხაზი გადაუსვა. ჰოლანდიელი სპეციალისტი მინიმუმ 1 წლით არსად წავა და გრანდებს მოცდა მოუწევთ.

შეგახსენებთ, რომ აიაქსი უკვე დატოვა ფრენკი დე იონგმა, რომელიც კარიერას ბარსელონაში გააგრძელებს. „კამპ ნოუზე" გადაბარგებას უწინასწარმეტყველებენ მატიის დე ლიხტსაც, რომლის მომავალი უახლოეს ერთ კვირაში უნდა გადაწყდეს.

გუნდიდან მესამე წამსვლელი კი დონი ვან დე ბეეკია, რომლის მიმართ ინტერესს წამყვანი ევროპული კლუბები იჩენენ და მათ შორის ბარსაც არის.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს შესანიშნავი გუნდი ბოლომდე არ დაიშლება და მათი ბრწყინვალე მწვრთნელის ხელში გაისადაც ასე ლაღად ითამაშებენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ჟოზე მოურინიო: „ციფრებზე აქცენტი საჭირო არ არის“

პორტუგალიელმა სპეციალისტმა ჟოზე მოურინიომ ფრანგულ გამოცემას რამდენიმე საინტერესო საკითხის შესახებ ესაუბრა.

*— თქვენს სამომავლო გეგმებს შევეხოთ. მართალია, რომ პსჟ-ს მთავარ მწვრთნელად განიხილებით?*

— ამ თემაზე საუბარი არ მსურს. პსჟ-ს მაღალი დონის სპეციალისტი წვრთნის და სჯობს იმ გუნდზე მკითხოთ, რომლის კარიც ღიაა.

*— თუ ასეა, რატომ ვერ აღწევს პსჟ ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებას?*

— პსჟ ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, რომელსაც დიდი მიზნები აქვს, მაგრამ ევროტურნირებზე წარმატებას ვერ აღწევს, რადგან რაღაც აკლია. ის რომ გუნდს ევროპულ ასპარეზზე არაფერი მოუგია, ძალიან მნიშვნელოვანია. მწვრთნელების შემთხვევაშიც იგივე ხდება. კარიერის ფინიშს რომ უახლოვდები და არც ერთ ევროტურნირზე არ გაქვს თასი ალმართული, ხვდები რომ რაღაც დაგაკლდა. პსჟ ზუსტად ამ სიტუაციაში იმყოფება. გუნდს საფრანგეთში კონკურენციას ვერავინ უწევს. ის ფრანგული ფეხბურთის ფლაგმანია, თუმცა ევროპულ გრანდებს მაინც ბევრით ჩამორჩება.

*— მანჩესტერისა და პსჟ-ს ჯახი ნახეთ? რა მოხდა თქვენი აზრით?*

— ზუსტად ვიცი რა მოხდა, მაგრამ ამ თემის შესახებ საჯაროდ საუბარს არ ვაპირებ. მანჩესტერმა ჯგუფურ ეტაპზე იუვენტუსი დაამარცხა, თუმცა პსჟ-სთან მოპოვებული გამარჯვება მაინც კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი.



*— იყო თუ არა „ოლდ ტრაფორდზე“ შექმნილი პრობლემები პოგბას ბრალი?*

— თუ მეკითხებით იყო თუ არა პრობლემები, რომლებიც მანჩესტერში ყოფნისას შემექმნა, მხოლოდ პოგბას ბრალი, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ — არა! მე გუნდი პოგბას გამო არ დამიტოვებია.

*— სამაგიეროდ, პრობლემები გქონდათ ბენზემასთან რეალში და მარსიალთან მანჩესტერში.*

— კარიმთან პრობლემები არ მქონია. უბრალოდ ვცადე მენტალიტეტის შეცვლაში დავხმარებოდი. ჩემი მიზანი იყო ბენზემას თავისი პოტენციალი სრულად გამოევლინა და ნამდვილი მკვლელი გამხდარიყო. სიმართლე გითხრათ, კარიმთან მუშაობით დიდი სიამოვნება მივიღე.

*— არსებობს ჟოზე მოურინიო და მესამე წლის სინდრომი?*

— ხანდახან, როცა ფეხბურთელებისგან ძალიან ბევრს ითხოვ, ისინი რეგრესს განიცდიან. თუ პროფესიონალებით დაკომპლექტებული კოლექტივი გყავს, რომლის წევრები ამბიციურები არიან, ბევრს მუშაობენ და კლუბის სტრუქტურა ხელს გიწყობს, ასეთი პრობლემები არ გექმნება. როცა მარტო ხარ და კლუბი მხარს არ გიჭერს, რამდენიმე ფეხბურთელი შენს წინააღმდეგ ილაშქრებს. ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა „კარგი ბიჭის“ როლი მომერგო, რადგან „კარგი ბიჭები“ 3 თვის შემდეგ გუნდის მფლობელების მარიონეტები ხდებიან და მათთვის ყველაფერი ცუდად სრულდება.

*— ლიგის ფინალისტთა მწვრთნელებზე, პოჩეტინოსა და კლოპზე რას იტყვით?*

— ჩემპიონთა ლიგის მოგებას ორივე მწვრთნელი იმსახურებს და ძალიან სამწუხაროა, ერთ-ერთი რომ უნდა დამარცხდეს. იურგენი ფინალში მესამედ გავიდა და წარმოდგენა არ მაქვს, ეს შეხვედრაც რომ დათმოს, რა შეგრძნება დაეუფლება.

*— გვარდიოლას უკვე 26 ტიტული აქვს, ხოლო მოურინიოს — 25.*

— მართალია 25 ტიტული მაქვს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ პორტუში და ინტერში რომ დავრჩენილიყავი, 31 მექნებოდა. უეფას სუპერ თასი, ადგილობრივი სუპერ თასი, საკლუბო ჩემპიონატი... ასე რომ, ციფრებზე აქცენტის გაკეთება საჭირო არაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მეგობრებმა ბიჭი ნიანგს პირიდან გამოსტაცეს



ინდოეთის გუჯარათის შტატში ბიჭმა ნიანგის კბილებიდან თავის დაღწევა მეგობრების დახმარებით მოახერხა.

ინციდენტი ორშაბათს მოხდა. 14 წლის სანდიპ კალმეშ პარმარი მეგობრებთან ერთად მდინარეზე საბანაოდ იყო წასული. როდესაც ის წყალში შევიდა, ნიანგმა მას კბილები მარჯვენა ფეხში ჩაავლო.

პარმარმა ტკივილისგან დაიყვირა, მისი მეგობრები კი დასახმარებლად მიცვივდნენ. მათ რეპტილიას ქვები დაუშინეს და ნიანგმა ბიჭს პირი გაუშვა. მეგობრები დაშავებულს ნაპირამდე მიღწევაში დაეხმარნენ, შემდეგ კი სასწრაფო გამოიძახეს.

ქალაქ კხედბრამას საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, სადაც პარმარი მიიყვანეს, განაცხადა, რომ ბიჭს ფეხის ძვლები ძალიან აქვს დაზიანებული და იქვე დაამატა, რომ არა მეგობრების დახმარება, ის შესაძლოა დაღუპულიყო.

ბიჭი მალევე შემდგომი მკურნალობის გასაგრძელებლად რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბავშვის მამამ მის მეგობრებს შვილის გადარჩენისთვის მადლობა გადაუხადა.

# საკვები, რომელიც ტუჩებს ადიდებს



ერაყული წარმომავლობის ამერიკელმა ვიზაჟისტმა და ბლოგერმა ხუდა კტანმა დაასახელა ის პროდუქტები, რომლის მოხმარებაც ბუნებრივი გზით ტუჩების გადიდებას ეხმარება.

ერთ-ერთ ასეთ პროდუქტს, ექსპერტის თქმით, დარიჩინი წარმოადგენს. ის ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, რის გამოც მას ხშირად იყენებენ ტუჩებისთვის განკუთვნილ კოსმეტიკურ საშუალებებში. სწრაფი ეფექტის მისაღებად კტანი რეკომენდაციას იძლევა, დარიჩინის ზეთის რამდენიმე წვეთი ტუჩების საცხში დაამატონ.

— ეფექტის გასაძლიერებლად, დაფქვილი დარიჩინი შეურიეთ ვაზელინს, ზეთისხილის ზეთს, თაფლს ან ნებისმიერ ბალზამს, შემდეგ ეს მასა ტუჩზე წაისვით და ერთი წუთის შემდეგ სველი პირსახოცით მოიცილეთ, — ურჩევს კტანი ტუჩების გადიდების მსურველებს.

მსგავსს ეფექტს ასევე იძლევა პიტნის ზეთი. კტანი რეკომენდაციას იძლევა, მსურველმა ანალოგიური მეთოდით ისარგებლოს: შეურიოს ერთმანეთში ზეთი და თაფლი და ტუჩებზე ერთი წუთი გაიჩეროს.

ტუჩების გადიდების კიდევ ერთ ბუნებრივ საშუალებას, ამერიკელი ბლოგერის თქმით, ვასაბი წარმოადგენს.

— გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ ვასაბი არა მარტო სუშის გემრიელი დამატებაა, ის თქვენს ტუჩებს მოკლე დროში ასევე ფუმფულას და გამობერილს გახდის, — ამტკიცებს კტანი, — ის ტუჩებში შეიზილეთ და ერთი წუთი გააჩერეთ. შესაძლოა უსიამოვნო იყოს, მაგრამ ეს ინექციას გაცილებით ჯობია.

# ქალმა ნათესავებთან ჩხუბის შემდეგ ყელსაბამი გადაყლაპა



ჩინეთის შანდუნის პროვინციის ქალაქ ბინჩჟოუში ქალმა 40 სანტიმეტრი სიგრძის ოქროს ყელსაბამი გადაყლაპა.

ქალის ნათესავები ამტკიცებენ, რომ კამათის დროს 52 წლის ციუი სიუინმა კისრიდან სამკაული ჩამოიგლიჯა და დემონსტრაციულად მათ თვალწინ გადაყლაპა. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. რენტგენმა დაადასტურა, რომ ოქროს ყელსაბამი მას კუჭში ჰქონდა.

ექიმებმა ნათესავებს ოპერაციის გაკეთება ურჩიეს. მათი აზრით, რაც უფრო დიდხანს დარჩება ყელსაბამი ქალის ორგანიზმში, მით უფრო გაიზრდება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის პერფორაციის რისკი. ყელსაბამის საკეტი, მახვილი ბოლოთი კიდევ უფრო ამძიმებდა სიტუაციას.

ქალს ოპერაცია წარმატებით გაუკეთდა და ყელსაბამი ამოუღეს. ექიმის თქმით, არც კუჭის გარსი, არც საყლაპავი მილი და არც ნაწლავები არ დაზიანებულა.

# ქალმა პურსა და ცხიმზე უარი თქვა და გახდა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალმა, რომელიც 120 კილოგრამზე მეტს იწონიდა, კარაქიან ბუტერბროდებზე უარი თქვა და წონაში 19 კილოგრამი დაიკლო.

ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ბალინაჰინჩის მკვიდრმა დაუნი დიკმა აღიარა, რომ ზედმეტი წონის გამო ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა.

— მუხლის ართრიტი დამიდგინეს და ეს უმთავრესი პრობლემა აღმოჩნდა, — ამბობს ქალი, — ასევე განმივითარდა ხელების და ფეხების სახსრების რევმატული ართრიტი. ამის გამო გადაადგილება მიჭირდა.

45 წლის ქალმა გახდომა გადაწყვიტა და მხარდამჭერ ჯგუფს შეუერთდა, რომელშიც მსუქან ადამიანებს ზედმეტი კილოგრამების მოშორებაში ეხმარებიან. ქალმა საკუთარი ცხოვრების წესი შეცვალა და უარი თქვა თავის საყვარელ პროდუქტებზე — პურსა და კარაქზე. დიკის თქმით, კვების პროგრამის მთავარი უპირატესობა, რომელიც კლუბის მიერაა შემუშავებული, მის მოქნილობაში მდგომარეობს. მისი მონაწილეები არ იყენებენ სიტყვა „დიეტას“ და უპირატესობას სახლში მომზადებულ ჯანსაღ საკვებს ანიჭებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# მეხანძრეებმა კნუტი ჟანგბადის ბალონის დახმარებით გადაარჩინეს

ავსტრალიის შტატ ახალ სამხრეთ უელსში მეხანძრეებმა მომაკვდავი კნუტის რეანიმირება შეძლეს. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ დილის საათებში ქალაქ ვი ვააში მოხდა. მეხანძრეებს აცნობეს, რომ კნუტი ბეტონის საფარის ქვეშ გამავალ სანიაღვრე მილში იყო გაჭედილი. მათ პატარა ცხოველი მილიდან გამოიყვანეს და დახმარება აღმოუჩინეს.

ვიდეო ჩანაწერში ჩანს, რომ მეხანძრეებს უკიდურეს ღონისძიებებზე წასვლა და კნუტისთვის გულის და ფილტვების რეანიმირებისთვის საჭირო მასაჟების გაკეთება მოუხდათ. ასევე მის გონებაზე მოსაყვანად ჟანგბადის ბალონიც გამოიყენეს. მაშველების თქმით, ამ შემთხვევაში მათ იგივე გააკეთეს, რასაც ადამიანის გადასარჩენად გააკეთებდნენ, მხოლოდ უფრო მცირე მასშტაბებში.

— კნუტს მხოლოდ წუთნახევარი დასჭირდა, რომ ისევ დაეწყო სუნთქვა და გონს მოსულიყო, — განაცხადა ერთ-ერთმა მათგანმა.

ერთიანად სველი კნუტი გააშრეს, თბილ ნაჭერში გაახვიეს და ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# ასტროპროგნოზი

## 16 მაისისთვის



**ვერძი** — მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **კურო** — კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ტყუპები** — ვიღაც დაუფარავად ცდილობს თქვენს გაცურებას. იფხიზლეთ, თაღლითების ანკესს ნუ წამოეგებით. **კირჩხიბი** — დასამახსოვრებელი დღეა. ცხოვრებაში კორექტივები შეგაქვთ. აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. **ლომი** — სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **ქალწული** — საქმიანი კონტაქტები წარმატებული იქნება. იყავით დამოუკიდებელი. **სასწორი** — ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **ღრიანკალი** — წინდაუხედაობა არასასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. დაფიქრდით, სანამ რამეს გადაწყვეტთ. **მშვილდოსანი** — ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **თხის რქა** — პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მერწყული** — ეცადეთ, წვრილმანი კამათი თავიდან აირიდოთ. უმჯობესია, თუ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დღესვე დაიწყებთ. **თევზები** — რთული დღეა. ემოციურად დათრგუნული ხართ. განმარტოვდით და ენერგია მოიკრიბეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული საღებავი; 2. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 3. ადამიანი, რომელიც მკაცრად იცავს ზნეობას; 4. დოსტოევსკის რომანი; 5. უმოტორო თვითმფრინავი; 6. „აბდულმესიანი“-ს ავტორი; 11. ლითონის ზედაპირის დასამუშავებელი, მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 13. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ატმოსფეროს ზედა ფენა; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 18. მდინარე ბრაზილია-პარაგვაი-არგენტინაში; 19. საქონლის სუფთა წონა შეუფუთავად.

**თარაზულად:** 7. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 8. გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის სახელწოდება; 9. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 12. ორკორპუსიანი გემი; 14. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 16. ფრანგული ლიქიორი; 18. ოდისევსის მეუღლე, ცოლ-ქმრული ერთგულების სიმბოლო; 20. ბეჭდვითი პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 21. დროის ისტორიული მონაკვეთი; 22. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 23. ქართული გაზეთი; 24. რაიონული ცენტრი გურიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბიშკეკი; 2. ხაჭაპური; 3. ყარაია; 4. კენზო; 5. დინასტია; 8. განდაგანა; 12. შატო; 13. ენდშპილი; 14. დიდუბე; 16. სიმინდი; 18. ტანგო; 19. ტუში.

**თარაზულად**: 6. ჩიხირთმა; 7. სკალდები; 8. გოპაკი; 9. სელტა; 10. მუკუზანი; 11. პრიშტინა; 15. ინსინუაცია; 17. ხოხობი; 19. ბაქტრიანი; 21. გირკანი; 22. მიკოლოგია; 23. კიშლაკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ვალონია; 2. ფტორი; 3. ყარაყუმი; 4. სკლერა; 5. ციკლონი; 6. დივიზია; 11. ლიონი; 13. ბაირამი; 14. კამამბერი; 15. ტენდენცია; 17. ნისანი; 18. მოხერი; 19. პერუ.

**თარაზულად**: 7. ბაგეტი; 8. კასკადიორი; 9. კონერი; 10. კალევალა; 12. ბარბარიზმი; 14. კაიუტა; 16. ანტიგონე; 18. მამისონი; 20. ცხუმი; 21. მეი; 22. დაიმლერი; 23. ბუცი; 24. სუტენიორი.

# ოთო ნემსაძე „ევროვიზიის“ ფინალში ვერ მოხვდა



მომღერალი ოთო ნემსაძე „ევროვიზია 2019“-ს გამოეთიშა. ჩვენმა ქვეყანამ კონკურსში მონაწილეობა მე-13-ედ მიიღო.

საქართველო ევროფესტივალზე პირველ ნახევარფინალში მე-11 ნომრად წარდგა რომა გიორგაძის სიმღერით „სულ წინ იარე!“ სცენის დეკორაცია ირაკლი გოქაძემ შექმნა, სასცენო კოსტიუმებზე გიორგი შალაშვილმა იმუშავა, ხოლო ვიდეოკლიპი გიორგი ებრალიძემ გადაიღო.

წლევანდელი ევროვიზიის პირველ ნახევარფინალში 17 ქვეყანა მონაწილეობდა: საქართველო, კვიპროსი, მონტენეგრო, ფინეთი, პოლონეთი, სლოვენია, ჩეხეთი, უნგრეთი, სერბეთი, ბელორუსი, ბელგია, ავსტრალია, ისლანდია, ესტონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი და სან მარინო. კვიპროსს თამთა გოდუაძე წარადგენდა, რომელიც პირველ ნომრად გამოვიდა და ფინალშიც გადავიდა.

17-ვე ქვეყნის კონკურსანტის გამოსვლის შემდეგ, ხმის მიცემა დაიწყო და მაყურებლის და ჟიურის გადაწყვეტილებით, ნახევარფინალისტებიდან ფინალში მხოლოდ 10 ქვეყანა გადავიდა: საბერძნეთი, ბელორუსი, სერბეთი, კვიპროსი, ესტონეთი, ჩეხეთი, ავსტრალია, ისლანდია, სან მარინო და სლოვენია.

„ევროვიზიიდან“ გავარდნის შემდეგ ოთო ნემსაძემ თავისი გულშემატკივრებისთვის მოკლე კომენტარი გააკეთა:

— მინდა, პირველ რიგში, ბოდიში მოგიხადოთ იმიტომ, რომ ოთო ნემსაძემ ვერ შეძლო ფინალში გადასვლა, თუმცა ვთვლი, რომ ალბათ ძალიან ღირსეული იყო ჩვენი ქვეყანა, მთელი ეს მარათონი... მინდა, ძალიან დიდი მადლობა გითხრათ ყველას. ვიცი, რომ ყველანი იჯექით ტელეფონებით ხელში, ყველანი იჯექით ანთებული გულებით.

და დავამატებ ერთს: თუ ეს არის მუსიკის მომავალი, მაშინ საქართველო სხვა პლანეტაა. დიდი მადლობა თქვენ ყველას! ყოველთვის თქვენი ოთარა!

როგორც მოსალოდნელი იყო, ოთოს გამოსვლას საზოგადოების მხრიდან დიდი განხილვა მოჰყვა.

***ნიკა გვარამია:***

— ამასობაში, ევროვიზიაზე მორიგ ჯერზე „გავპაზორდით“. სრულიად პროვინციალური, გულისამრევად ცუდი, მუსიკალურადაც და კონცეპტუალურადაც და ქაჯური ნომრით წარვდექით. თან უკვე მერამდენედ ვაჩვენებთ სრულიად ფარჩაკ სახეს მსოფლიოს. და მერამდენედ ვერ გადავდივართ ფინალში. ამ დროს, გამორჩეული მუსიკის ქვეყანა ვართ, დანამდვილებით. თან ავთენტური, თან ძალიან ევროპული მუსიკის. და ამათ ცუდი მუსიკის და გოიმური ჰარმონიების ბღავილი გონიათ ავთენტურობა.

# თამრიკო ჭოხონელიძე ქართველი ხალხის სიბნელით გაოგნებულია

მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე ქართველი ხალხის სიბნელით გაოგნებულია. ამის მიზეზი კი მისი და მისი კოლეგების მიმართ წამოსული აგრესიაა, რაც 17 მაისს კონცერტში მონაწილეობაზე უარის თქმამ განაპირობა. ამაზე გულნატკენმა მომღერალმა ინგა გრიგოლიასთან სტუმრობისას ისაუბრა:

— ქართველმა ხალხმა გამოავლინა ის საშინელი სიბნელე, რომელსაც კი ველოდებოდი, მაგრამ მთლად ასე არ ველოდებოდი. ჩვენ ის ხალხი ვყოფილვართ, რომლებსაც შეგვიძლია აბსოლუტურად ერთ წამში გადავთელოთ ერთმანეთი. რაც გაგვიკეთებია, არაფერი აბსოლუტურად აღარ არსებობს. ასე გვეზიზღებოდეს ერთმანეთი...

ხალხო, რა დაგვემართა? ასეთი ზიზღით როგორ დადიხართ ამ ქვეყანაზე? მე ვარ გაოგნებული. როგორც ქალმა, ჩემი პოზიცია მინდა დაგიფიქსიროთ, რომ დაპირისპირების შიშის გამო გავაკეთე ეს ყველაფერი.

ასე როგორ გამიმეტეთ ან მე, ან ნატო მეტონიძე, ან ნინო ქათამაძე, ან ყველა, ვინც გაგვიმეტეთ. ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია საქართველოსთვის? არ გრცხვენიათ ამხელა ზიზღის გამოვლენა, ხალხო? აი, ეს გვანგრევს ჩვენ!

***მიხეილ ზაქარიაშვილი, მომღერალი:***

— ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ, რომ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანაში ზოგჯერ თქვენთვის მიუღებელი, მაგრამ ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება! ველურ, მარტო ჯოგურ ქვეყნებშია ეს აკრძალული და დაანებეთ თავი თამრიკო ჭოხონელიძეს! შეიძლება მის პოზიციაზე გაბრაზდით, მაგრამ თავად ისეთებს კადრულობთ, ეხებით ოჯახს, ბილწსიტყვაობთ ისე, რომ ოჯახის სიწმინდეზე და საერთოდ რელიგიაზე თქვენი მხრიდან საუბრები სასაცილოდ მეჩვენება, სასაცილოდ და ამაზრზენად.

***განო მელითაური:***

— სამარცხვინოა საზოგადოების ვერშემდგარი უნიათო ჭორიკანა და სრულიად არაფრისმაქნისი ნაწილის გამო, რომლებიც ვირთხებივით ეფარებიან კლავიატურას და სიცოცხლეში არაფერი შეუქმნიათ ღირებული არამც თუ ქვეყნისთვის, არამედ საკუთარი ოჯახებისთვის. „სამარცხვინო ერი ვართ“ თქვენ გამო მფრინავ ფრაზად რომ იქცა! უსაქმურობამ, წარუმატებლობამ და უიმედობამ ისე გაგაბოროტათ, სხვების ცხოვრების, სხვების გადაწყვეტილებების კრიტიკის და შეურაცხყოფის მეტს არაფერს აკეთებთ და აგრესიულ ინტერნეტ-ვირუსებად იქეცით. ვინ გეკითხებათ, ვინ სად რატო არ იმღერებს და რატო ვერ ვისწავლეთ ერთმანეთის პატივისცემა?!

ფსევდო-წესიერება, ფსევდო-მორალი, ფსევდო-თავისუფლება ძალიან, ძალიან ძალიან მაგრად ტეხავს! წაიკითხეთ ერთი ორი წიგნი და გაინათეთ ეგ ბნელი თავები. იქნებ სილამაზის, ნიჭიერების, წარმატების, სიყვარულის და ადამიანობის გაზიარებაც ისწავლოთ და ერთ დღესაც, როცა გადაეგებით ამ ქვეყნიდან, მარტო ჭუჭყი და სიცარიელე არ დაუტოვოთ კაცობრიობას!

***ლევან ღამბაშიძე, ფილოსოფოსი:***

— თამრიკო ჭოხონელიძე ვის არ სმენია საქართველოში? რომელ თაობას? ქართული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილია. დაწყებული საბჭოთა კავშირიდან დღემდე. რამდენი „ქალაქური სიმღერა“ ვიცით მისი შესრულებით? ცალკე „იავნანა“ რად ღირს? მისი ქალიშვილის მიერ შესრულებული პატრიარქის დაწერილი



კირიე ელეისონიც ყველა მორწმუნისათვის სამუდამოდ დაკავშირებულია შობის დღესასწაულთან.

ხოდა, დღეს ამ ადამიანს არაქართველობას და ეკლესიის შეურაცხყოფას, როგორც თვითონ უძახიან, ვინ აბრალებს იცით? ჩვეულებრივი ვიღაცეები, არავინები, ვითომ პატრიოტები და სხვა ყაიდის არა-რაობები. ანუ რაობა რო არ გააჩნიათ ისეთი ხალხი. თითი-თითზე რომ არ დაუკარებიათ ცხოვრებაში, აი, ისინი.

და რატომ? იმიტომ, რომ ისე არ მოიქცა, როგორც მათ ესიამოვნებოდათ. მეტი არაფრის გულისთვის. ხოდა, ბებიათქვენისა. ეგ ხალხი მაშინვე გაქრება, შუქი რო წავიდეს და ფეისბუქი გაითიშოს, თამრიკო ჭოხონელიძე კიდე, უკვე ჩვენი კულტურის ძალიან დიდი ნაწილია.

სიმართლის თქმა ადვილი არასდროს ყოფილა განსაკუთრებით, როდესაც აგრესიული უმრავლესობა გიპირისპირდება, მაგრამ ჩვენი იდეალი ალუდა ქეთელაურია და არა ვიღაცა თემი, რომელიც მას სდევნის. სკოლაში ალუდად ყოფნას ვასწავლით და არა იმ იდიოტებად ყოფნად, საკუთარი სიმართლის გამო მზად რომ არიან, ადამიანი თემიდან მოჰკვეთონ, თუნდაც იმავე თემის საუკეთესო წარმომადგენელი.

ჩემი სრული თანადგომა თამრიკო ჭოხონელიძეს, მისთვის ამ ალბათ ძალიან არასასიამოვნო მომენტში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სოსო პავლიაშვილმა ახალი სიმღერა მამაკაცებს მიუძღვნა




სოსო პავლიაშვილმა ახალი სიმღერა მამაკაცებს მიუძღვნა

მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა თავისი ახალი სიმღერა მამაკაცებს მიუძღვნა. სიმღერაზე ვიდეორგოლიც გადაიღო და ინტერნეტში განათავსა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სიმღერამ უამრავი გაზიარება, მოწონება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

***სოსო პავლიაშვილი:***

— ეს სიმღერა ყველა ნამდვილ მამაკაცს ეძღვნება. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენ არა მარტო ვისმენდეთ, არამედ ვუსმენდეთ კიდეც ერთმანეთს. ეს საუკეთესო ვარიანტია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენი მოხუცებისთვის, ქალებისთვის და ბავშვებისთვის. იცოცხლეთ დიდხანს, ვინც გარდაცვლილია, იყოს მათი სამუდამო ხსოვნა. მხოლოდ ღმერთის წინაშე ვაგებ პასუხს. ყოველთვის თქვენი სოსო პავლიაშვილი.

## კალეიდოსკოპი

# წინასწარმეტყველურმა სიზმარმა მამაკაცი გაამილიონერა



ავსტრალიელმა სიზმარში ნანახი რიცხვების წყალობით ლატარიაში მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

მამაკაცი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამტკიცებს, რომ მომგებიანი ნომრები მას 13 წლის წინ დაესიზმრა. მას შემდეგ ის მათ მუდმივად ავსებდა ლატარიის ბილეთებში. ამ რიცხვებმა მას უკვე რამდენჯერმე მოუტანა მოგება, თუმცა ისეთი მსხვილი, არა, როგორც ამჯერზე მოხდა.

ავსტრალიელის თქმით, ამჯერად ლატარიაში სიზმარში ნანახი ყველა რიცხვი ამოვიდა.

— ინტერნეტში შევამოწმე და ასე გავიგე ამ მოგების შესახებ, — განაცხადა მამაკაცმა, — ვფიქრობდი, რომ ერთხელაც ყველა ნომერი ამოვიდოდა და ამიტომ თამაშს ვაგრძელებდი.

მამაკაცი ამ მოგებაზე გაჩერებას არ აპირებს, ვინაიდან, მისი თქმით, ისინი მისი ბედნიერი რიცხვებია და ლატარიის გათამაშებებში მათ შემდგომში გამოყენებას ისევ აპირებს.

# ამერიკელი 30 წელი თამაშობდა ლატარიას და ბოლოსდაბოლოს მოიგო

ამერიკის მიჩიგანის შტატის მკვიდრი მამაკაცი 30 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ლატარიას თამაშობდა და ბოლოს და ბოლოს ჯეკპოტი მოხსნა.



58 წლის მამაკაცი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამტკიცებს, რომ ყოველ ორშაბათს ფანტაზი 5-ის ლატარიის ბილეთს ყიდულობდა მაღაზიაში. მისი აღიარებით ათწლეულების მანძილზე ლატარიის თამაში ჩვევაში გადაეზარდა.

აზარტული თამაშის მოყვარულმა მორიგ ორშაბათს იყიდა ლატარიის ბილეთი ციფრებით 01-11-19-24-36 და 167,4 ათასი დოლარი მოიგო.

— როდესაც გათამაშების შედეგები შევამოწმე, უზომოდ გავიხარე, — იხსენებს მამაკაცი, — მომგებიანი კომბინაცია სრულად დაემთხვა ჩემ ბილეთში აღნიშნულ რიცხვებს.

გამარჯვებული ამერიკელი მოგებული თანხის სამომავლოდ გადადებას აპირებს. მისივე აღიარებით ბოლო წლებში ბევრი გაუთვალისწინებელი ხარჯი ჰქონდა, ასე რომ, ეს მოგება მისთვის დროული აღმოჩნდა.

# მამაკაცმა სკოლის ზეიმზე სტრიპტიზი იცეკვა



მექსიკის ვერაკრუსის შტატის ქალაქ მისანტლაში მდებარე სკოლა კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა დედის დღეს სტრიპტიზიორის მიწვევის გამო. მისი გამოსვლის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ გამოდის სცენაზე ეროტიკულ წითელი ფერის კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი და იწყებს ცეკვას. შემდეგ ის მაყურებელთა დარბაზში ჩადის, სადაც სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები სხედან, ცალ ფეხს სკამზე დგამს და ერთ-ერთი ქალის წინ სხეულს არხევს. ამის შემდეგ ის პირველ რიგს ჩაუვლის და სხვა ქალების წინ გამომწვევ მოძრაობებს ასრულებს.

დამსწრეები მხიარულად რეაგირებენ სტრიპტიზიორის გამოსვლაზე, იღიმებიან, ტაშს უკრავენ და ამ ყველაფერს ტელეფონებით იღებენ.

ვიდეორგოლი ვირუსული გახდა და სოციალურ ქსელებში 200 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა. ინტერნეტ-მომხმარებლებმა სკოლა სტრიპტიზის მოწყობისთვის მკაცრად გააკრიტიკეს. მათი უმრავლესობის აზრით, ასეთი კონცერტის გამართვაზე პასუხისმგებელი პირები სასწავლებლიდან დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდნენ, ხოლო თუ ამაში დირექტორის ხელიც ურევია, ისიც გასაგდებია.

თუმცა ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელთა აზრითაც, უფრო ნაკლები გამკრიტიკებელი გამოჩნდებოდა, სტრიპტიზიორი მამაკაცის ადგილზე სტრიპტიზიორი ქალი რომ ყოფილიყო, და კომენტატორები ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულეს.

# მამაკაცი სიდედრისგან ტარანტულის დახმარებით განთავისუფლდა



სოციალური ქსელის რედიტის მომხმარებელი მოყვა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებდა სიდედრის ყოველდღიური ვიზიტების თავიდან აცილებას. მან აღიარა, რომ ამისთვის სახლში ობობა მიიყვანა.

მამაკაცმა განმარტა, რომ უკვე მრავალი წელია ჩინელ ქალზეა დაქორწინებული. მისი თქმით, მეუღლის მშობლები მეტად კონსერვატიულები არიან და არ ესმით, თუ რა არის კონფიდენციალურობა, ხოლო ცოლს ვერაფრით დაუწესებია გარკვეული ზღვარი მათთან ურთიერთობაში.

— თუ სიმამრთან შეთანხმება კიდევ შესაძლებელია, სიდედრი ნამდვილი შეშლილია, — განაცხადა მამაკაცმა. მისი თქმით, ცოლის დედა მათთან ყოველგვარი დაპატიჟების გარეშე მიდის და მუდმივად ბუზღუნებს.

რამდენიმე თვის წინ მამაკაცმა შეიტყო, რომ მის სიდედრს პანიკურად ეშინია ობობების. ამიტომ გადაწყვიტა სახლში შინაური ტარანტული მიეყვანა, რათა სიდედრს ყოველდღიური ვიზიტებით აღარ შეეწუხებინა. თუმცა ცოლისთვის საკუთარი მოტივის თაობაზე არაფერი გაუმხელია. როგორც კი მათ სახლში ტარანტულმა დაიდო ბინა, მათთან სტუმრად მხოლოდ სიმამრიღა მიდიოდა. ასე რომ, მამაკაცმა სიდედრის თავიდან მოშორება ტარანტულის დახმარებით მოახერხა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 მაისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7422

ევრო — 3.0795

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5525

100 რუსული რუბლი — 4.201

## ამინდის პროგნოზი 16 მაისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

14 მაისიდან

### ქართული მითები




ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

### ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

### ომი და მშვიდობა

ტომი IV




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## სერხიო აგუერო: „ოქროს ბურთს ყოველთვის მესი იმსახურებს“




მანჩესტერ სიტის ფორვარდმა სერხიო აგუერომ ოქროს ბურთზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ ჯილდოს ყოველთვის მესი იმსახურებს, რადგან ის საუკეთესოა. მიუხედავად ამისა, აგუეროს თქმით, ოქროს ბურთს ის ფეხბურთელი მოიგებს, რომლის გუნდიც ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფს იზეიმებს:

– ამჟამად ოქროს ბურთს იმ ფეხბურთელს აძლევენ, ვინც ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, თუმცა ჩემი აზრით, ეს სწორი არ არის. ოქროს ბურთი საუკეთესო ფეხბურთელს უნდა გადაეცეს და ეს ფეხბურთელი ლიონელ მესია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

კაცმა ოქროს თევზი დაიჭირა და ეუბნება:

– საკუთარი პატარა ქარხანა, სახლი და ახალი მანქანა მინდა.

– კარგი, მხოლოდ აირჩიე, კრედიტი თუ ლიზინგი.

– კარგი, აირჩიე, ერბოში თუ ზეთში.

●●●

მეზობელი სომეხს ეკითხება:

– ბიჭი რომ გეყოლა, რა დაარქვი?

– ხომ იცი, როგორ მიყვარს რუსი კოსმონავტი იური გაგარინი, ჰოდა, მის პატივსაცემად დავარქვი სახელი.

– იურა დაარქვი?

– არა, გაგარიკ!

●●●

რუსი ავტოინსპექტორი მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

– ცალი ფარი რატომ არ გინთებს?

– ეს ახალი მოდელია – „ლადა-კუტუზოვი.“

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მივლინებაში რომ მივდიოდი, ცოლს ხუმრობით ვუთხარი, რომ საწოლ ოთახში ვიდეორეგისტრატორი დავაყენე.

– მერე?

– ჩამოვედი და სამზარეულოს მაგიდა დამტვრეული დამხვდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იურგენ კლოპი: „ფინალისთვის უკვე ვემზადებით“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ლივერპული დასვენებას არ აპირებს და უკვე ემზადება ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის, რომელიც 1 ივნისს გაიმართება.

კლოპის თქმით, აუცილებელია, რომ ლივერპულმა ფიზიკური კონდიციები არ დაკარგოს:

– მესმის, რომ ამდენი თამაშის შემდეგ ფეხბურთელები დაღლილები არიან, მაგრამ თუ ტიტულის მოგება გვინდა, მაშინ ვარჯიში უნდა გავაგრძელოთ. წინ ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრაა, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

## კოუტინიოში 115 მილიონის გადახდა არავის უნდა




ბარსელონა ცდილობს, ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო სარფიანად გაყიდოს, მაგრამ ჯერჯერობით კოუტინიოს მსურველები არ ჰყავს. უფრო სწორედ 115 მილიონის გადახდა არავის უნდა, ბარსელონა კი სწორედ ამ თანხას ითხოვს.

ფასის დაკლებას კატალონიელები არ აპირებენ, ამიტომ შესაძლოა კოუტინიო ბარსელონაში დარჩეს.

ბარსელონას ხელმძღვანელობა კოუტინიოს თამაშით უკმაყოფილოა და მისი გაყიდვაზე საუბრები ლივერპულთან წაგების შემდეგ დაიწყო.

## მარკ ვან ბომელი შესაძლოა ბაიერნის მწვრთნელი გახდეს



ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა ნიკო კოვაჩმა სეზონის ბოლოს შესაძლოა თანამდებობა დატოვოს, რადგან მისი მუშაობით ბაიერნის ხელმძღვანელობა კმაყოფილი არ არის. ბაიერნი კოვაჩის შემცვლელად რამდენიმე ვარიანტს განიხილავს და ერთ-ერთი მათგანი მარკ ვან ბომელია, რომელიც ამჟამად ეინდჰოვენს უდგას სათავეში.

ვან ბომელი 5 წლის მანძილზე თამაშობდა ბაიერნში და ის ამ გუნდს კარგად იცნობს. საფეხბურთო კარიერა მან რამდენიმე წლის წინ დაასრულა.

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. რაიმეს მწვავე ნაკლებობა; 3. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 4. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 5. უეფას პრეზიდენტი; 8. მოჭიქული, გამომწვარი თიხისგან დამზადებული კერამიკული ნაწარმი; 12. ძვირფას მერქნიანი ფოთლოვანი ხე; 13. რაიმე სიდიდეების, გრაფიკულად გამოსახული თანაფარდობა; 14. აეროპორტი ვარშავაში; 16. კინოკომედია „ლონდრე“-ს რეჟისორი; 18. ესპანური სპორტული გაზეთი; 20. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე.

**თარაზულად:** 6. პირველი ქართველი ალპინისტი ქალი; 7. ქალაქი მესხეთში; 8. კომპანია „სონი“-ს დამფუძნებელი; 9. ელექტრო ავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 10. ავადმყოფობის დადგენა გამოკვლევის შედეგად; 11. ნაყინის ერთ-ერთი სახეობა; 15. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 19. „შუშანიკის წამება“-ს ავტორი; 21. გერმანული ლუდი; 22. ძველებური ინდური მაგიდის სათამაშო, ჭადრაკის წინამორბედი; 22. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





რან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ






ძიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




გუი ფუ დი ჰუანგ ვან + ჩუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/